# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 25 აპრილი, 2004 წელი
№94 (4823)

## გუშინ

### „ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, უნეტარესი“

რუსი მწერლის და პოეტის ალექსანდრე პუშკინის 205 წლის იუბილესთან დაკავშირებით გუშინ, თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში გამართულ წარმოდგენას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

წარმოდგენა თბილისის რუსული სკოლის მოსწავლეების მიერ არის დადგმული და მისი სპონსორია რუსეთის საელჩო საქართველოში.

საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც დაესწრო.

გრიბოედოვის თეატრმა საკუთარ რეპერტუარს ერთი სპექტაკლი კომპანია „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერის წყალობით შემატა. ამასთან ალექსანდრე პუშკინის 205 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე დამსწრე 700 ბავშვს კომპანიამ საჩუქრები მოუმზადა და სპექტაკლის დასრულების შემდეგ გადასცა.

ინტერ-პრესი.



## კანონმდებლები

### „ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, ავაშენოთ ევროპული ტიპის დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფო“

**პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სიტყვა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 22 აპრილის სხდომაზე**

ბატონო ელდარ, ბატონო სხდომის თავმჯდომარევ, ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო კოლეგებო. მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამომიხატეთ. მე ძალიან კარგად მაქვს გააზრებული და წარმოდგენილი, რას ნიშნავს დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობა და მე მართლაც აბსოლუტურად გულწრფელად იმედი მაქვს იმისა, რომ შევძლებ თქვენი იმედების გამართლებას და შევძლებ თქვენთან ერთად და თქვენი მხარდაჭერით, თქვენი დახმარებით საქართველოს მოსახლეობის იმედების გამართლებას, რომელიც დიდ იმედებს ამყარებს საქართველოს პარლამენტის მუშაობაზე.

იხ. მე-3 გვ.

## კადრი



„ქართველ ქალთა ენახე კრება“. პარლამენტის 23 აპრილის სხდომა.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## თვალსაწიერი

### ახალი ღვინო ახალ ტიკში

მართლაც მრავალმხრივ დატვირთული, მოვლენებით დახუნძლული იყო განვლილი კვირა.

როგორც იქნა, მუშაობას შეუდგა ახალი, 2004 წლის მოწვევის პარლამენტი.

მისდამი ინტერესი და, ამდენად, მოლოდინიც სრულიად კანონზომიერი იყო.

რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ, ნათელია: ეს არ არის ნაცნობი, რიგითი, ჩვეულებრივი პარლამენტი.

ის „ვარდების რევოლუციის“ პირმშოა, სარკეა, რომელიც უტყუარად აირეკლავს ნოემბრის მოვლენების მთელ სიღრმესა და აზრს.

უფლება გაქვს მიიღო ან არ მიიღო ეს რევოლუცია, დაეთანხმო ან არა დაეთანხმო მის მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ იმას ვერ უარყოფ, რომ ეს პარლამენტი ძირეულად, თვისებრივად განსხვავდება იმ პარლამენტისგან, რომლის ხელდასხმა ვერ მოხერხდა 2003 წლის 22 ნოემბერს, რომელიც სხდომის დარბაზიდან კინწისკვრით გამოაგდო იქ შეჭრილმა „ვარდების რევოლუციამ“ (სხვათა შორის, როცა პარლამენტის გახსნის დღეს ტრიბუნაზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ავიდა და სიტყვის წარმოთქმა დაიწყო, უნებლიეთ გამახსენდა, იმ 22 ნოემბერს როგორ უყვიროდა იგი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ასევე ტრიბუნიდან სიტყვას წარმოთქვამდა ჯერაც უკურთხებელი პარლამენტის წინაშე, „გადადექი, გადადექიო!“ და ღმერთს ვთხოვე, არასდროს მომავალში ასეთი იძულება, თუნდაც ვარდების, ზამბახების ან იების რევოლუციისა, საჭირო აღარ გამხდარიყოს,

იხ. მე-2 გვ.

## ხსოვნის კულტურა

### დამლოცველ, მოვეგონები...

**გახსენებანი დიდი მოურავის ძეგლის დადგმის თაობაზე**

იხ. მე-12 გვ.

## დღის ანეკდოტი

პესიმისტი ხედავს შავ გვირაბს. ოპტიმისტი გვირაბის ბოლოს ხედავს სინათლეს. რეალისტი ხედავს გვირაბს, სინათლეს და მატარებელს, რომელიც ლიანდაგზე მოძრაობს.

მატარებლის მემანქანე კი ხედავს ლიანდაგზე ჩამომჯდარ ამ სამ იდიოტს.

## შევეწიოთ!

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს „საქართველოს რკინიგზა“ | – 30 ლარი; |
| რუსუდან ბოკერია | – 10 ლარი; |
| გიორგი ბებუა | – 30 ლარი; |
| ეკატერინე მაკარაძე | – 10 ლარი; |
| ირაკლი ნადარეიშვილი | – 50 ლარი; |
| გიორგი არაყიშვილი | – 50 ლარი; |
| აპოლონ დანელია | – 150 ლარი; |
| კოსტანტინე თუთბერიძე | – 20 ლარი. |

## ინტერპანორამა



ერაყის ქალაქ ალ-ტაჯში თავდასხმის დროს დაიღუპა 5 ამერიკელი, 7 დაიჭრა.

რაკეტები მიმართული იყო სამხედრო ბაზისკენ, რომელიც 20 კილომეტრით არის დაშორებული ბაღდადს.



ლიტვის პრეზიდენტობას უკვე ორი ყოფილი პრეზიდენტი უმიზნებს. ვალდას ადამკუსმა გადაწყვიტა მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებში. ადრე როლანდას პაკსასმა განაცხადი შეიტანა პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ.



დელიში ქოლერით უკვე 300 კაცი დაავადდა. ჯანდაცვის დეპარტამენტის ექსპერტების შეფასებით დაავადების ასეთი მაღალი პროცენტი 15 წლის წინათ იყო აღრიცხული. ძირითად მიზეზად უხარისხო სასმელი წყლის მოხმარებას ასახელებენ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 94, კვირა, 25 აპრილი, 2004 წელი.

## თვალსაწიერი

# ახალი ღვინო ახალ ტიკში

(პირველი გვერდიდან)

ახალმა პარლამენტმა, როგორც ხავერდოვანი რევოლუციის დაგვირგვინებამ, წერტილი დაუსვა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ათწლეულს (რომელიც ერთგვარი სასინჯი ქვა, გარდამავალი ხიდი იყო ძველსა და ახალს შორის), ქვეყნის მმართველობის სისტემამ მთლიანად ჩამოიცილა ძველი სამოსიც და ძველი კადრებიც. ქვეყნის საჭეს მიუსხდნენ ჭაბუკები, რომლებისთვისაც გუშინ აზრადაც არავის მოსდიოდა, სერიოზული საქმე მიენდო.

ნოემბერმა კი თამამად ჩააბარა მათ ხელისუფლების სადავეები.

და ახლა, როცა რევოლუცია უკვე დასრულდა და აღმშენებლობის სადაგი დღეები დაიწყო, ინტერესით ველით მათ დაპირებულ შემართებას.

მე პირადად (როგორც ასიათასობით სხვას), ძალიან მინდა, რომ ეს ჭაბუკური მგზნებარება მათი წარმატების აღმძრავ ღვედად იქცეს (თორემ ზოგს მთავრობისა და ხელისუფლების წევრთა „იუნიორობა" საქილიკოდ აქვს მომარჯვებული), ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს უფროსი თაობის ადამიანების ქუჩაში მასობრივად გაყრის მიზეზი არ უნდა გახდეს, რაც ლამის ანეკდოტების თემაა (იმოწმებენ ერთი მინისტრის თითქოსდა ნათქვამს, 40 წლისა, თანამშრომელი კი არა, ხეც არ მინდა ეზოშიო).

ნათქვამია, ახალი ღვინო ძველ ტიკში არ ჩაისხმევაო.

ჰოდა, ახალი ღვინო ახალ ტიკში ჩაისხა: გვაქვს ახალი მიზანდასახულება — ახალი სახელმწიფოს აშენების სვლა-გეზი, გვაქვს ახალი პარლამენტი.

პირველ სხდომაზე პრეზიდენტის გამოსვლა ოდითგან მიჩვეულთან შედარებით სხვაგვარი იყო: იქნებ მოჭარბებულად ემოციური, მაგრამ უაღრესად დატვირთული და შეკრული. მასში რელიეფურად, დამაჯერებლად გამოიკვეთა ქვეყნის საგარეო და საშინაო პრიორიტეტები, წინსვლის ბერკეტები.

უკვე წარმოჩნდა: ჯერ ძალიან ძნელია ივარაუდო პარლამენტში ძლიერი, ანგარიშგასაწევი ოპოზიციის შექმნა, მაგრამ პირველი კვირტები უკვე გამოინასკვა თუნდაც კობა დავითაშვილისა და დავით გამყრელიძის მძაფრი გამოსვლებით.

ერთსახოვანი, ერთფეროვანი პარლამენტი არც პრეზიდენტს სურს, რომ ჰყავდეს. ამიტომაც აცხადებს, ეს არ იქნება მორჩილი პარლამენტი მორჩილი უმრავლესობითო. ისე, ისიც ჩანს, რომ ამ უმრავლესობაში მალე გამოიკვეთებიან „ქორები" და „ბალასტი"...

კვლავ უაღრესად დაძაბული რჩება აჭარის ავტონომიასთან ურთიერთობა. გუშინწინ ასლან აბაშიძემ ტელევიზიით მოსალოდნელ სამოქალაქო ომზე, თუ რაღაც ამის მაგვარზე ილაპარაკა. ქვეყნის ხელმძღვანელმა პირებმა და სამხედრო ექსპერტებმა აჭარაში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის დეტალები განიხილეს საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ჯარების მონაწილეობითო. როგორც ჩანს, ბატონი ასლანი საგულდაგულოდ ემზადება მისი ამ „ფიზიკური განადგურების" ოპერაციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. მაგალითად, ვრცელდება ინფორმაცია, ფაქტობრივად, დაშლილი 25-ე ბრიგადის ნანგრევებზე ბათუმში ახალი სამხედრო შენაერთი კოწიწდება უჯაროდ დარჩენილ გენერალ დუმბაძის მეთაურობითო.

ყველაფერი დიდი ხიფათის, საშიში რისკის ზღვარზე გადის.

აღარ შეიძლება ქვეყნის ხელისუფლებას ერთ-ერთი რეგიონის ხელმძღვანელობა ისე ეურჩებოდეს, როგორც უცხოს, მტრულს და ამით საშიშროების წინაშე აყენებდეს ქართულ სახელმწიფოებრიობას. ის ფაქტიც კი, რომ თბილისთან ურთიერთობაში ბატონი ასლანი უცხო ქვეყნებს, საერთაშორისო ბერკეტებს მიმართავს, უკვე არის ერთიანი სახელმწიფოს ხელყოფის ცდა. ასლან აბაშიძის თქმით, მან უკვე მიმართა რამდენიმე წერილით რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს, კონგრესს, რუსეთის სათათბიროს და მათ „ცენტრსა და რეგიონს შორის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ჩართვისკენ მოუწოდა", მისი წარმომადგენლები, თურმე, უკვე შეხვდნენ აშშ უშიშროების საბჭოს მდივანს, აჭარის მხარდამჭერი ჯგუფები შეიქმნა თურქეთში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში...

რა თქმა უნდა, მეტი მოთმინება და სიდინჯე მართებს საქართველოს ხელისუფლებას.

ოღონდ, შეუიარაღებული თვალითაც აშკარად ჩანს: რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა შეიცვალოს ზევიდან თუ ქვევიდან.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს პარლამენტმა იმსჯელა დადგენილების პროექტზე, რომელიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას ეხება და დაადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ უზრუნველყონ ქვეყნის ერთიანი კონსტიტუციური სივრცის ხელშეუხებლობა, საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კი დაევალათ, მოახდინონ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება აჭარაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ყოველ ფაქტზე, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა შეიმუშაონ და განახორციელონ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაუვნებელყოფისა და მოსახლეობისათვის უკანონოდ დარიგებული იარაღის ამოღების გეგმა და ა.შ.

**ირაკლი ოქრუაშვილის** უწყება „კუდიანებზე" ნადირობას აგრძელებს. 23 აპრილს პროკურატურაში თავისი ფეხით მისული კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე (2000-2003 წ.წ.) სულხან მოლაშვილი დააკავეს და ელვის სისწრაფით 3 თვით წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. მას თანამდებობის ბოროტად გამოყენება და 37 ათასი ლარით სახელმწიფოს დაზარალება ბრალდება. დაპატიმრებული მხარე პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ლაპარაკობს.

სულხან მოლაშვილი ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ერთ-ერთი ბურჯი იყო, ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკი, რომელიც არა ნახტომებით, არამედ ნელ-ნელა, თანდათან ბეჯითად მიიწევდა ზევით და ზევით. თუკი რომელიმე უწყება ხელშესახებად იბრძოდა მაშინ კორუფციის წინააღმდეგ, სწორედ კონტროლის პალატა იყო. სწორედ მის მიერ და მის დროს არის მხილებული ენერგოსისტემაში, „საფოსტო ბანკის" სისტემაში და სხვა სფეროებში არსებული ნაკლოვანებები, რომლებზეც დღეს პროკურატურის ხმაურიანი საგამოძიებო საქმეებია დამყნილი. სწორედ სულხან მოლაშვილი იყო, მთავრობის სხდომაზე პირდაპირ რომ დაასახელა კორუმპირებულ მოქმედ (!) მაღალჩინოსანთა გვარები! მას, ამასთან, მწვავე დაპირისპირება ჰქონდა დღეს ხელისუფლებაში მყოფ ზოგიერთ პირთან.

ბატონმა სულხანმა 2003 წლის დეკემბერში განაცხადა, ჩემი სურვილით გადავდგები 2004 წლის 4 იანვრიდანო, თუმცა მას საკონსტიტუციო ვადა ამ თანამდებობაზე 2005 წლამდე ყოფნის უფლებას აძლევდა. მაშინ, სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩემს მიმართ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, ცდილობენ ათასი რამ დამწამონო, თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვის გულისხმობდა.

სულხან მოლაშვილის დაპატიმრებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. ბევრისთვის, რბილად რომ ვთქვათ, საკამათოა მის მიმართ წაყენებული ბრალდებები: კონტროლის პალატა ისეთ ორგანიზაციებს ამოწმებდა, რომელთა შემოწმების უფლება არ ჰქონდაო (მაგალითად. სააქციო საზოგადოებებსა და სხვა იურიდიულ პირებს, სადაც სახელმწიფოს 51 პროცენტზე მეტი ჰქონდა); შემოწმების მასალები სამართლებრივ სტრუქტურებს არ ეგზავნებოდაო (6000-ზე მეტი შემოწმებული მასალიდან პროკურატურაში მხოლოდ 930 გადაგზავნილიო); შემოწმებული უწყებებისათვის დაკისრებული თანხების 30 პროცენტი (სულ 161 ათასი ლარი) კონტროლის პალატის ანგარიშზეა პირდაპირ ჩარიცხული და შემდეგ პრემიების სახით გაცემული თანამშრომლებზეო (თურმე, ამრიგად მიადგა სახელმწიფოს ბიუჯეტს 37 ათასი ლარის ზარალი).

ამ ბრალდებებს ზოგი თითიდან გამოწოვილად მიიჩნევს.

სულხან მოლაშვილის დაპატიმრების შესახებ პარლამენტის სხდომაზეც ითქვა. მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ ეს აქტი პარლამენტის საქმიანობაში პროკურატურის უხეშ ჩარევად მიიჩნია, რაკიღა კონტროლის პალატა პარლამენტს ექვემდებარება, მისი შემოწმება მხოლოდ სპეციალურ საპარლამენტო კომისიას შეუძლია. ამას რომ ვამბობ, მოლაშვილის ადვოკატობას კი არ ვიჩემებ, არამედ მინდა კანონის უზენაესობა სრულდებოდესო.

**ამ კვირამ დაგვარწმუნა, რომ ახალი ღვინო ახალ ტიკში ისხმევა. ოღონდ დიდი ყურადღება უნდა, მაჭარს ძმრის შხეფები არ შეჰყვეს.**

**ალეკო ასლანიშვილი.**

## დაჯილდოება

# „ოქროს ფრთა" — პროფესიონალებს და ქველმოქმედთ





**მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანმა დარბაზმა ამ დღეებში მესამედ უმასპინძლა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის" საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალს. აქ მესამედ დაჯილდოვდნენ მედიის, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ქველმოქმედნი.**

რჩეულმა კომპეტენტურმა ჟიურიმ პროფესორ ნოდარ ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოავლინა ლაურეატები. საპატიო დიპლომები და „ოქროს ფრთის" მკერდსაბნევები გადაეცათ:

„სი-ენ-ენ-ის" კორესპონდენტს **რაიან ჩილკოტს,** რომელიც „ვარდების რევოლუციის" დროს ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა საქართველოში და 24-საათიანი რეპორტაჟებით აქაურ მოვლენებს მთელ მსოფლიოს აუწყებდა;

„სი-ენ-ენ-ის" ოპერატორს **ალექსეი ბელოვს,** რომელიც რაიან ჩილკოტთან ერთად იღვწოდა იმ რთულ დღეებში;

**ანსამბლ „რუსთავს"** და მის ხელმძღვანელს ანზორ ერქომაიშვილს (ისედაც საზეიმო განწყობილებას კიდევ უფრო ამშვენებდა ანსამბლის მრავალჟამიერი);

საქართველოს პირველ ქალბატონ **სანდრა რულოვსს,** ჩვენ „ქველმოქმედ რძალს", როგორც მას წამყვანმა უწოდა.

— მადლობელი ვარ, პირველად მივიღე ასეთი ჯილდო და თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობ. „ვარდების რევოლუციის" დროს ჰოლანდიაში გახლდით და სწორედ ჟურნალისტების მეშვეობით ვიგებდი, თუ რა ხდებოდა საქართველოში, რაც შეეხება ჯილდოს, მას ტრაგიკულად დაღუპულ გიორგი სანაიას ვუნაწილებ. ეს ჯილდო ორივესია, — თქვა ქალბატონმა სანდრამ. შემდეგ იგი ცერემონიალის ორგანიზატორისა და წამყვანის თხოვნას დაჰყვა და ანსამბლ „რუსთავთან" ერთად მართლაც შთამბეჭდავად შეასრულა რევაზ ლაღიძის სიმღერა — „გულს რად მიკლავ"...

ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე გაზეთ „24 საათის" მთავარ რედაქტორს **მამუკა ფაჩუაშვილს;**

ტელეკომპანია „იმედის" საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის დირექტორს, საკვირაო ტელეგადაცემის „დროების" ავტორს **გიორგი თარგამაძეს;**

საქართველოს მთავარი რადიოს გადაცემა — „სახსოვრის" ავტორს **ლამარა კიკილაშვილს;**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარეს **ციცო ჯაფარიძეს;**

მსახიობ **გია როინიშვილს,** ამჟამად დახურული „მეცხრე არხის" გადაცემა „ღამის მატარებლის" წამყვანს;

ზეიმის მონაწილეთ დაურიგდათ გაზეთ „ოქროს ფრთის" მეტად საინტერესო ნომერი. ცერემონიალს ჩვეული იუმორით, მახვილგონივრულად უძღვებოდა ცნობილი ტელეჟურნალისტი, პროდიუსერი და წამყვანი ზაზა ალექსიძე. ზეიმის ბოლოსკენ, ვინ მის კომენტარებზე ხალისობდა, ვინ კიდევ ნუგბარითა და „ხვანჭკარით" იქცევდა თავს.

დასასრულ, ულრმესი მადლობა მოახსენეს ამ საუცხოო ღონისძიებათა წამომწყებს და ორგანიზატორს, ცერემონიათა უცვლელ დიასახლისს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის" პრეზიდენტს ეთერ ჯიშკარიანს.

ჯილდოები ჯილდოებად, მაგრამ კოლეგებმა და წვეულმა სტუმრებმა ერთად ყოფნით არანაკლებ გაიხარეს.

**ბელა დურგლიშვილი.**

**სურათებზე: „გულს რად მიკლავ"... მღერის ჩვენი ქვეყნის პირველი ლედი — სანდრა რულოვსი; ზაზა შენგელია „ოქროს ფრთას" გადასცემს რაიან ჩილკოტს.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**



## იუსტიციის სამინისტრო ახალ კანონს ამზადებს

იუსტიციის სამინისტრო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის სამართალდამცავ ორგანოებს ახალ კანონმდებლობას უმზადებს. იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ჟურნალისტებს გააცნო, რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება.

პროექტის თანახმად, რეკეტულ საქმიანობად მიჩნეულია შემოსავლის, ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით წარმოებული ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც თავის მხრივ ამ კანონმდებლობის თანახმად უკავშირდება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად თითქმის ყველა მძიმე დანაშაულს.

როგორც პაპუაშვილმა განმარტა, კანონმდებლობის საფუძველზე რეკეტში ეჭვმიტანილი პირები ვეღარ შეძლებენ თავი აარიდონ გამოძიებას, მიმალვის გზით ხელი შეუშალონ გამოძიების წარმართვას.

ეს კანონპროექტი იუსტიციის სამინისტრომ პრეზიდენტს უკვე წარუდგინა და პარლამენტში განსახილველად უახლოეს მომავალში შევა.

## აჭარის ხელისუფლებას განუდგნენ

აჭარის ხელისუფლებას ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ოფიცრებისა და ზემდეგების მსგავსად, აჭარის სამთავრობო დაცვის ორი თანამშრომელი განუდგა და გუშინ ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა.

"დემოკრატიული აჭარის" თბილისის ოფისის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, აჭარის სამთავრობო დაცვის ორი თანამშრომელი, შუახევის რაიონის სოფელ მახალიტიძეებში მცხოვრებნი ძმები იაგო და როინ მახარაძეები ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდნენ და აჭარის ხელისუფლებისადმი მათი დაუმორჩილებლობის შესახებ განცხადება გააკეთეს.

## როგორი ბიუჯეტი გვექნება?

გუშინ, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ 2004 წლის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები წარმოადგინა. ახალი კანონპროექტის მიხედვით, მთლიანი შიდაპროდუქტის 6-პროცენტიანი ზრდა არის გათვალისწინებული, ხოლო ინფლაცია 5 პროცენტს გაუტოლდება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, გასულ წელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 521 მილიონი ლარით მეტი, ანუ 43 პროცენტით მეტი იქნება დახარჯული. შემოსავლები კი გასულ წელთან შედარებით 415 მილიონი ლარით, ანუ 45 პროცენტით გაიზრდება. 140 მილიონი ლარით გაიზრდება საპენსიო თანხები. განათლებაზე 20 მილიონი ლარით მეტი, ძალოვან უწყებებზე 32 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება. ენერგოსექტორში როგორც პრემიერ-მინისტრი აცხადებს, 67 მილიონი ლარით მეტი ინვესტიცია იქნება ჩადებული. შარშანდელი საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გასასტუმრებლად 79 მილიონი ლარის მობილიზებაა გათვალისწინებული.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა 2-3 თვის შემდეგ შესაძლოა გარკვეული სახეცვლილებები განიცადოს, იქიდან გამომდინარე, რომ იგეგმება ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება და მთავრობას იმედი აქვს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ბიუჯეტი შესაძლოა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

აღნიშნული ბიუჯეტი საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს გადაეგზავნება განსახილველად.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## პარლამენტის თავმჯდომარე

# „ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, ავაშენოთ ევროპული ტიპის დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფო“

### პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სიტყვა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 22 აპრილის სხდომაზე



(პირველი გვერდიდან)

**ვინაიდან ჩვენი დღევანდელი მუშაობა საკმაოდ გაგვიგრძელდა, ჩვენ კი ძალიან მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხი გვაქვს დღევანდელ სხდომაზე განსახილველი, მე განსაკუთრებულად გრძელი გამოსვლით თქვენ თავს არ შეგაწყენთ. მით უმეტეს, რომ დღეს დილის სხდომაზე გამობრძანდა ბატონი პრეზიდენტი, რომელმაც ძირითადი მიმართულებები ჩვენი მომავალი მუშაობისა, პარლამენტის მუშაობისა და ქვეყნის განვითარებისა ჩამოაყალიბა, მაგრამ მე არ შემიძლია რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია არ გამოვხატო.**

**მინდა, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელად მოგესალმოთ თითოეულ თქვენგანს და ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ დღეს ჩვენ ყველანი აქ ისტორიული მოვლენის მოწმენი ვართ. დღევანდელი საპარლამენტო სესიით ჩვენ, პრაქტიკულად, დავასრულეთ ვარდების რევოლუციის რევოლუციური ციკლი, შეიკრა ეს ციკლი, შეიქმნა ახალი პარლამენტი. პარლამენტი, რომელსაც საქართველოში აკისრია ისტორიული მისია, აღუდგინოს პარლამენტს დაკარგული ავტორიტეტი და ხალხის ნდობა დაუბრუნოს მას, ხალხის ნდობა დაუბრუნოს ხელისუფლებას.**

ეს არის პარლამენტი, რომელსაც ჩვენ შეიძლება საქართველოს მოსახლეობის იმედის პარლამენტი დავარქვათ იმიტომ, რომ ადამიანები მართლაც დღისით და ღამით, წვიმაში და ქარში იდგნენ ამ შენობის წინ იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ ხელისუფლების მიერ დანიშნული პარლამენტი. მათ არ უნდოდათ ისეთი პარლამენტი, რომლის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა არ იქნებოდა მათი ნების გამომხატველი. ამ ადამიანებმა, თითოეულმა მათგანმა, თქვენთან, ჩვენთან ერთად მიაღწიეს გამარჯვებას, ისტორიულ გამარჯვებას, მთელ მსოფლიოს დაუდასტურეს და დაუსაბუთეს, რომ ქართველი ხალხი მზად არის დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად და მზად არის დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად. რომ ქართველი ხალხი იმსახურებს დემოკრატიულ, ცივილიზებულ, განვითარებულ და წარმატებულ ქვეყანაში ცხოვრებას და ამ ადამიანებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეს პარლამენტში მართლაც ღირსეული ადამიანები არიან წარმოდგენილნი.

**მე მივესალმები ჩვენს ძველ, გამოცდილ პარლამენტარებს, იმ ადამიანებს, ვინც უკვე გარკვეული კვალი დატოვა პოლიტიკაში. მივესალმები იმ ახალგაზრდებს, შეიძლება არც თუ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს ახალი სახეები არიან პოლიტიკაში, მაგრამ რომელთაც ნამდვილად აქვთ ძალიან დიდი გამბედაობა, შემართება, კვალიფიკაცია იმისათვის, რომ უკეთესი ხვალინდელი დღე ააშენონ. ჩვენ, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს, იმისდა მიუხედავად, ვიყავით თუ არა ამ დარბაზში 5 თვის წინათ, ზუსტად 5 თვის წინათ და, სხვათა შორის, პრაქტიკულად, ამავე საათებში, რა საათებშიც ჩვენ დღეს, ახლა კენჭისყრის ჩატარება მოგვიწიათ ალბათ, ყველას კარგად გვესმის, თუ რამოდენა გარდატეხა მოხდა ქვეყნის ცხოვრებაში.**

მე არ შემიძლია ძალიან გულწრფელი მადლობა, თქვენთან ერთად, არ გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, თინც მოიპოვა ეს გამარჯვება. ძალიან ბევრი ავტორი ამ გამარჯვებისა დღეს ამ დარბაზში არის.

**მე არ შემიძლია ნამდვილად ძალიან გულწრფელი მადლობა არ გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც თავისი გამბედაობით ნამდვილად შეძლო ის, რომ დაეგვირგვინებინა ხალხის ნება და რევოლუცია გამარჯვებამდე მიეყვანა. ნამდვილად გადამჭრელი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის შედეგი გახლდათ ის, რომ რევოლუცია არ დამარცხდა და ჩვენ შევძელით ჩვენი გამარჯვების დაფიქსირება და ჩვენი გამარჯვების განმტკიცება, ისევე, როგორც 10 წლის წინათ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.**

დღეს საქართველოში ცვლილებების და გარდატეხის პერიოდია. დღეს ჩვენს პარლამენტს, პრაქტიკულად, ისეთივე რევოლუციირი გადაწყვეტილებები და ცვლილებები აქვს მისაღები, როგორც ეს იყო 10 წლის წინანდელ პარლამენტში, როდესაც ახალი ქართული, დამოუკიდებელი სახელმწიფო ყალიბდებოდა.

მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ჩვენი პარლამენტი მზად არის, რომ 4 წლის განმავლობაში მიიღოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, რომლებიც უკეთეს რეალობას შეუქმნის საქართველოს მოსახლეობას. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დღევანდელი ჩვენი პარლამენტი და ჩვენი ხელისუფლება ათასობით და 10 ათასობით ვარდების რევოლუციის გულშემატკივრის იმედს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

დღეს ჩვენს ქვეყანას მიეცა მეორედ უნიკალური შანსი, ჩვენ პირველად ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ, იმედი მაქვს, რომ მეორედ ჩვენ ამ შანსს ნამდვილად გამოვიყენებთ. ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი ავაშენოთ ევროპული სტილის, ევროპული ტიპის დემოკრატიული, დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფო, გავხდეთ ევროატლანტიკური სტრუქტურების აქტიური მონაწილენი, ჩავეწეროთ განვითარებული, თანამედროვე ცივილიზებული და ევროპული სახელმწიფოების ნუსხაში. ეს არის ის მისია, რომელიც, ერთი მხრივ, არის უდიდესი პასუხისმგებლობა, მეორე მხრივ, არის უდიდესი ტვირთი. მე ვიცი, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ დღევანდელი პარლამენტი, თითოეული თქვენგანი მზად არის ამ უზარმაზარი ტვირთის და პასუხისმგებლობის მხრებზე საზიდად.

ჩვენი, როგორც ქართული პარლამენტის წევრების ვალია, უზენაეს ინტერესად სწორედ იმ ადამიანების ინტერესები დავაყენოთ, რომლებიც დღეს, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი იმედის თვალით გვიყურებენ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ პარლამენტმა ეფექტიანად იმუშაოს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხალხმა დაინახოს, რომ თქვენ პარლამენტში ზრუნავთ მოსახლეობაზე. ეს არის ის ორგანო, რომელიც, განსხვავებით წინა პარლამენტებისაგან, არ არის კოლექტიური პრივილეგიების ორგანო, არამედ არის კოლექტიური პასუხისმგებლობის ორგანო საკუთარი ხალხის და საკუთარი ქვეყნის წინაშე.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ჩვენ ერთიანად, ერთობლივად, ერთად შეკრულმა შევძლოთ იმ მუშაობის განხორციელება, რომელიც ჩატარებულია ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოსაყვანად. ჩვენი ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ვერც ერთი ის რთული პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენი მოსახლეობის და ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. საქართველოს პარლამენტი იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ დაიცავს და განავითარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, თავისი საქმიანობით დაამკვიდრებს, კანონის უზენაესობას.

ერთხელ და სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს ის პერიოდი, როდესაც კანონი არ კანონობდა, როდესაც ქვეყანაში უკანონობის და დაუსჯელობის სინდრომი ბატონობდა, როდესაც კანონი მოქმედებდა ერთისთვის, მაგრამ არ მოქმედებდა მეორისათვის. მე ვფიქრობ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვინც უგულებელყოფს, ან არასათანადოდ შეასრულებს კანონს, შესაბამისად იქნეს დასჯილი, შესაბამისად იქნეს პასუხისგებაში მიცემული.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს პარლამენტი არ ჩამორჩება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას იმ ძალიან გამბედავ ბრძოლაში, რომელიც მან გამოუცხადა კორუფციას. იმ გამბედავ ბრძოლაში, რომელიც ხელისუფლებამ გამოუცხადა უკანონობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ჩვენი პარლამენტი იქნება უკომპრომისო, არ შეეგუება ნებისმიერი დარღვევის, ნებისმიერ უკანონობას, ნებისმიერი უსამართლობას, მე თქვენთან ერთად მზად ვარ ვიყო უკომპრომისო, მე თქვენთან ერთად მზად ვარ ვიბრძოლო იმისათვის, რაც მიმაჩნია, რომ სწორია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისათვის, რაშიც დარწმუნებული ვიქნები ჩემი ქვეყნის და ჩემი სინდისის წინაშე.

ჩვენ მთავარ ამოცანად უნდა დავისახოთ ის, რომ გავაძლიეროთ არა მხოლოდ პარლამენტი, არამედ გვყავდეს ძალიან ძლიერი ამასრულებელი ხელისუფლება. თუ ჩვენს ქვეყანაში ვერ შევძელით, რომ სამივე შტო იყოს ერთმანეთისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებელი, სასამართლო ხელისუფლება, ცხადია, აბსოლუტურად დამოუკიდებელი და უნდა იყოს. ჩვენ ვერ შევძლებთ ისეთი ქვეყნის აშენებას, როგორიც ქვეყანაც ჩვენი იმედების ქვეყანა გახლავთ. თუ რომელიმე ერთი შტოს მხრივ გატარებული იქნა ბალანსი ამა თუ იმ შტოს სასარგებლოდ, ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ არა ნორმალურ, ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანას, არამედ დამახინჯებულ სისტემასა და ფორმას. თუ ერთ-ერთი ამ რგოლიდან მაინც დაკარგავს თავის ფუნქციას, სახელმწიფო დაიწყებს რყევას, ქვეყნის სახელმწიფოებრივი მდგრადობა დაიწყებს რყევას.

დღეს ხელისუფლების ყველა შტოს სჭირდება პოლიტიკური ნება ითანამშრომლოს. თანამშრომლობა და მხარდაჭერა კი ნიშნავს ფაქტებისა და ქმედებების კრიტიკულ შეფასებას. გადაწყვეტილებათა ალტერნატიული გზების განსჯას, უნარს მიიღო რთული და ზოგჯერ არაპრინციპული გადაწყვეტილებები. მე ვიცი, რომ დღეს, თითოეული ამ დარბაზში მყოფი ადამიანი, მეც მათ შორის, მზადა ვართ მივიღოთ რთული და ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილებები, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც წაადგება ხვალინდელ საქართველოს. ბევრს ლაპარაკობდნენ, პრაქტიკულად, ერთპარტიულ პარლამენტზე, ბევრს ლაპარაკობდნენ მორჩილ პარლამენტზე. დღევანდელმა პარლამენტის პირველივე სხდომამ დაადასტურა, რომ ეს პარლამენტი არ იქნება ისეთი ორგანო, სადაც არ იქნება განსხვავებული აზრი, სადაც პატივს არ სცემენ განსხვავებულ ან ალტერნატიულ აზრს.

დღეს ამ დარბაზში სხედან ადამიანები, რომლებიც დემოკრატიული ფასეულობებისთვის იბრძონენ, რომლებმაც ყველაფერი სასწორზე დადეს იმისათვის, რომ ქვეყანა სწორი, დემოკრატიული განვითარების გზაზე დაეყენებინათ. არც ერთი ეს ადამიანი, ქალბატონებო და ბატონებო, არ გაჩუმდება, თუ ისინი ჩათვლიან, რომ პარლამენტი არასწორ გადაწყვეტილებას იღებს. არც ერთი ჩვენთაგანი არ გავჩუმდებით და არ დავუკრავთ კვერს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენ არასწორად და მცდარად მიგვაჩნია.

ცხადია, ჩვენ გვექნება ძალიან სერიოზული, ოპონირება პარლამენტის შიგნით, ჩვენ გვექნება სერიოზული ოპონირება მთავრობასთან და ეს არის აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესი, რომელიც საპარლამენტო პრაქტიკის პროცესში ჯდება. ჩვენ, პარლამენტის წევრები, მე და თქვენ, თქვენ და მე, ჩვენ არა ვართ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების მტრები, რომ გავჩუმდეთ იმაზე, ან იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც არასწორად მიგვაჩნია. ჩვენ არა ვართ ის ადამიანები, რომლებსაც არ გვესმის თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ არა მხოლოდ საკონტროლო ფუნქციის განხორციელება, არამედ მართლაც სერიოზული ზედამხედველობა იმაზე, რომ არც ერთი კანონი პარლამენტის მიერ მიღებული არ დარჩეს შეუსრულებელი.

პარლამენტის მთავარი ფუნქცია, ცხადია, არის კანონის მიღება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია გახლავთ კანონების შესრულებაზე ზედამხედველობა, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი და კონტროლი იმაზე, რომ ქვეყანაში ყველა, ნებისმიერი ადამიანი სცემდეს პატივს კანონს. ჩვენს პარლამენტს ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ჩვენც ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული პრიორიტეტები გვაქვს. უმთავრესი პიორიტეტი, ცხადია, გახლავთ ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება, მაგრამ არა ისეთი სტაბილურობისა, როდესაც ქვეყნის წინსვლას ხელს უშლის.

**ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საგარეო პრიორიტეტების განმტკიცება. უმნიშვნელოვანესი გახლავთ მეზობლებთან ურთიერთობების დარეგულირება. უცილობლად მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობები ნამდვილად უმჯობესდება. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი გახლავთ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზით ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახლავთ ის, რომ ამ პარლამენტმა მიიღოს კანონები, რომლებიც იქნება სრულ შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან. ამ პარლამენტმა მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც იმუშავებს, რომელიც ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას, რომელიც დაეხმარება მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნაში, რომელიც იზრუნებს სოციალურად დაუცველ ადამიანებზე, რომელიც იზრუნებს აუცილებლად ბიზნესის განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე და ძალიან ბევრ სხვა მიმართულებებზე, რაც ქვეყნის ხვალინდელი დღის უმნიშვნელოვანესი გარანტია გახლავთ 10 წლის განმავლობაში.**

**სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რომ პარლამენტს მიეღო ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, რომლებიც კონსტიტუციაში უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული. 10 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა თუნდაც ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შემუშავება, თუნდაც ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა. ბევრი სხვა საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახლავთ.**

**დღეს მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი პარლამენტი უახლოეს ხანებში ნამდვილად შეძლებს ამ ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხების გადაწყვეტას. ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩება არც ერთი საკითხი. არც ადამიანის უფლებების დაცვა, არც სოციალური საკითხები, არც ეკონომიკური საკითხები და, ბუნებრივია, ის, რაც ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული გახლავთ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არ არის არც ერთი ქართველი, საქართველოს არც ერთი მოქალაქე, რომლისთვისაც უმთავრესი პრიორიტეტი არ იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარება, მაგრამ ცხადია, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რა წინაპირობებია საჭირო იმისათვის, რომ აღნიშნული პრობლემები მოგვარდეს.**

**მე ძალიან კარგად მესმის, რომ დღეს, დღევანდელი პარლამენტი პრაქტიკულად არის ისეთი გამოცდის წინაშე, რომლის წინაშეც არ მდგარა დღემდე არც ერთი პარლამენტი. ეს პარლამენტი არის საქართველოს მოსახლეობის თუ უკანასკნელი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ბოლო იმედი. ჩვენ არა გვაქვს არანაირი უფლება, ასი ათასობით და მილიონობით ადამიანს გავუმტყუნოთ იმედი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვიფიქროთ, რა გვაერთიანებს და არა ვეძებოთ ის, თუ რა გვაშორებს, ერთმანეთს და რა განგვასხვავებს ერთმანეთისაგან. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რომ მართლაც ძალიან ეფექტურად, ერთობლივი თანამშრომლობით, ერთობლივი კონსტიტუციით, ხანდახან ძალზე ცხარე კამათით მივიდეთ იმ გადაწყვეტილებამდე, რომელიც გახლავთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.**

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 94, კვირა, 25 აპრილი, 2004 წელი.

კანონმდებლები

# „ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, ავაშენოთ ევროპული ტიპის დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფო

**პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სიტყვა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 22 აპრილის სხდომაზე**

(მესამე გვერდიდან)

ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ამ პარლამენტის მთავარი ამოცანა გახლავთ. შევქმნათ ქვეყანაში ნორმალური საკანონმდებლო ბაზა, შევქმნათ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა, რომელიც ამდენ ხანს არსებობდა, მაგრამ ძალიან ხშირად კითხვის ნიშანიც კი ჩნდებოდა. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს დავუბრუნოთ დაკარგული ღირსება იმიტომ, რომ მოსახლეობის თვალში ბევრმა ჩვენმა წინამორბედმა კოლეგამ იმდენად შეურაცხყო საქართველოს პარლამენტარის სახელი, რომ დღეს ძალაუნებურად თითოეულ ჩვენგანს გვიწევს იმის მტკიცება, რომ ჩვენ განსხვავებულები ვართ, რომ ჩვენ სხვაგვარი ვიქნებით და ჩვენ სხვაგვარად ვიმუშავებთ ხვალინდელ ქართულ პარლამენტში.

მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს მიერ მიღებული კანონებით ხელს შევუწყობთ ქვეყნის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადამიანების დასაქმებას, განათლების სფეროს ჩამოყალიბებას და გაძლიერებას. იმიტომ, რომ განათლება, ახალგაზრდების აღზრდა ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლავთ.

მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქართული ჯარი დადგეს ფეხზე და მართლაც საქართველოს ყავდეს ძლიერი, თავდაცვისუნარიანი არმია. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსოს, ხელისუფლება ხელისუფლებას დაემსგავსოს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება 4 წლის შემდეგ უფლება ჩვენს მოსახლეობას კვლავ ვთხოვოთ მხარდაჭერა არჩევნების დროს. ცხადია, ეს არ იქნება ის პარლამენტი, რომელსაც მისი ამომრჩეველი, მისი მოსახლეობა მხოლოდ მაშინ გაახსენდება, როდესაც არჩევნების დრო მოვა.

მე არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, როდესაც ვლაპარაკობდი, რომ ძალიან ბევრი რამ არის ქვეყანაში შესაცვლელი, რომ პარლამენტში არ არის რამე შესაცვლელი. ჩვენ ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს პარლამენტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც მე თქვენ აუცილებლად მოგახსენებთ.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ კრიტიკულნი უნდა ვიყოთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რომ კრიტიკულად შევაფასებთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემოტანილ წინადადებებს ან გადადგმულ ნაბიჯებს, ეს თავისთავად გულისხმობს, რომ, უპირველეს ყოვლისა, თითოეული ჩვენგანი, მთლიანად პარლამენტი კრიტიკული იქნება სწორედ საკუთარი ნაბიჯების, საკუთარი გადაწყვეტილების და საკუთარი საქმიანობის მიმართ.

მე არ მინდა ძალიან გამიგრძელდეს გამოსვლა, თუმცა, ალბათ, გაუგებარი იქნება დღეს, რომ ჩემს გამოსვლაში არ შევეხო იმ ვითარებას, რომელიც დღეს არის საქართველოში. ალბათ, დამეთანხმებით, რომ თითოეული ჩვენგანი უდავოდ ძალიან შეწუხებული ვართ და შეშფოთებული იმით, რაც ხდება აჭარაში. თითოეული ჩვენგანის სატკივარი არის ის, რომ დაპირისპირება, პრაქტიკულად, კრიტიკულ ზღვარზეა მისული.

მე მინდა კატეგორიულად განვაცხადო, ის, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ხდებოდა, უკვე არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება დაუმორჩილებლობას უცხადებს საქართველოს ხელისუფლებას. როდესაც ჯარისკაცი, გენერალი დაუმორჩილებლობას უცხადებს უმაღლეს მთავარსარდალს, როდესაც ქვეყნის საშინაო პრობლემის გადასაწყვეტად მოიშველიებენ უცხო ქვეყნის სახელმწიფოს, მოიშველიებენ უცხო სახელმწიფოს ინტერესებს, ეს უკვე ნამდვილად სცილდება იმას, რისი მოთმენაც და რისი ატანაც საქართველოს ხელისუფლებას, სრულიად საქართველოს შეუძლია.

მე მინდა იმედი ვიქონიო, რომ აღნიშნული ჩიხიდან გამოსავალს თავად ავტონომიური რესპუბლიკა იპოვის. უპირველეს ყოვლისა, სასწრაფოდ არის გადასადგმელი ნაბიჯები, რომლებიც კონსტიტუციურ ჩარჩოებში, სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს მეტნაკლებად ამ პრობლემას. სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი განიარაღების პრობლემები, სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი ყველა ის მოთხოვნა, რომელიც სრულიად სამართლიანად იყო ხელისუფლების მხრიდან გამოთქმული.

ცხადია, თითოეულ ჩვენგანს გვესმის რამდენად მნიშვნელოვანი არის ამ პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად და მშვიდობიანად მოგვარება. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ, თითოეული ჩვენგანი, კიდევ ერთხელ, კატეგორიულად მოვითხოვთ იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც აჭარას რეალურად დააბრუნებს საქართველოს საკონსტიტუციო და სამართლებრივ ერთიან სივრცეში.

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო კოლეგებო, მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თქვენთან ერთად დიდი იმედი მაქვს აქტიური თანამშრომლობისა, მზადა ვარ ვითანამშრომლო თითოეულ თქვენგანთან, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ფრაქციას ან რომელ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენს ნებისმიერი დეპუტატი. მე მზადა ვარ თითოეული თქვენგანის აზრი მოვისმინო და მზადა ვარ იმისათვის, რომ თქვენთან ერთად ვიყო უკომპრომისო და ძალიან პრინციპული ყველა იმ ნაბიჯის გადადგმაში, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის, ჩვენი ქვეყნის ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის უკეთესი ხვალინდელი დღისათვის.

მე მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ კიდევ ერთხელ ასეთი დიდი მხარდაჭერისათვის და მინდა წარმატება ვუსურვო თითოეულ თქვენგანს ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან მოღვაწეობაში. დიდი მადლობა.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

# გაერო ჩრდილოეთ კორეაში დახმარებას გაგზავნის

**გაერომ გადაწყვიტა ჰუმანიტარული მისიის გაგზავნა ჩრდილოეთ კორეაში მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის მთავრობამ ოფიციალურად სთხოვა მსოფლიო გაერთიანებას დახმარება რიონჩხონის სარკინიგზო სადგურში მომხდარი მძლავრი აფეთქების შედეგების ლიკვიდაციაში.**

გაეროს წარმომადგენლის იან ეგელანდის თქმით, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამ საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარების თხოვნით მიმართა ჯერ კიდევ მანამ, სანამ გაჩნდებოდა ზუსტი მონაცემები ნგრევის მასშტაბის შესახებ.

შაბათს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ პირველად გააკეთა ოფიციალური განცხადება კატასტროფის თაობაზე. სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ტრაგედიის მიზეზი გახდა გულგრილობა.

ჩრდილოეთ კორეიდან მანამდე მიღებული მონაცემებით, რომლებიც გაავრცელეს სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა, დაღუპულად ითვლებოდა 150 კაცი. მაგრამ, ნგრევის მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, მსხვერპლთა რეალური რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. როგორც პეკინში წითელი ჯვრის წარმომადგენელმა ჯონ სპაროუმ აღნიშნა, აფეთქების შედეგად მთლიანად დაინგრა 1850 სახლი. ნაწილობრივ დაზიანებულია 8 ათასამდე შენობა-ნაგებობა.



აფეთქების რადიუსმა ნახევარი კილომეტრი შეადგინა. „ბი-ბი-სიმ“ მოიპოვა კოსმოსური თანამგზავრებიდან გადაღებული ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილია, რომ სქელ შავ კვამლში იყო გახვეული ავარიის რაიონი აფეთქებიდან 18 საათის შემდეგაც კი.

რიონჩხონში, სადაც განლაგებულია ქიმიური და ლითონდამმუშავებელი ქარხნები, 130 ათასი კაცი ცხოვრობს.

მონაცემები დაღუპულთა შესახებ დაზუსტდება ნანგრევების გაწმენდის კვალობაზე, თქვა ჯონ სპაროუმ. „იმაზე ფიქრიც კი მზარავს, თუ რა შეიძლება ვიპოვოთ იქ,“– მოჰყავს სპაროუს სიტყვები „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს. წითელი ჯვრის ორგანიზაციის განყოფილებას კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეუძლია კარვებითა და საბნებით დაეხმაროს დაახლოებით 4 ათას კაცს.

სამხრეთ კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული თავდაპირველი ცნობების თანახმად, დაღუპულთა რიცხვი, შესაძლოა 3 ათასს აღწევდეს. აფეთქების მიზეზად პირველ ეტაპზე ასახელებდნენ სათბობით დატვირთული ორი მატარებლის შეჯახებას. თუმცა, წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა პარასკევს განაცხადეს, რომ ერთ-ერთ მატარებელს სავარაუდოდ, გადაჰქონდა დინამიტი და არა სათბობი.

წითელი ჯვრის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მაღალი ძაბვის სადენი შემთხვევით გამოედო ასაფეთქებელ ნივთიერებას. მეორე ვერსიის თანახმად, რომელსაც ავრცელებს ჩინეთის „სინჰუას“ სააგენტო, ერთ-ერთი შემადგენლობის ვაგონებით გადაჰქონდათ გვარჯილა-ნივთიერება, რომელსაც გარკვეულ პირობებში დიდი აფეთქების ძალა აქვს.

პირველი, რაც მოიმოქმედა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ, იყო ის, რომ ეცადა ყოველმხრივ შეეზღუდა ინფორმაციის გაქონვა კატასტროფის რაიონიდან. მაგრამ, როგორც განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შაბათს დართო საერთაშორისო წარმომადგენლებს აფეთქების რაიონში ჩასვლის ნება.

# ამერიკელები მოუწოდებენ შარონს არ მიაყენოს ზიანი არაფატს

**ისრაელის პრემიერმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ იგი აღარ აპირებს შეასრულოს დაპირება, რომლის მიხედვითაც ისრაელის მხარეს ფიზიკური ზიანი არ უნდა მიეყენებინა იასირ არაფატისთვის. როგორც პრემიერმა განუცხადა ჟურნალისტებს, ასეთი დაპირება მან შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშს სამი წლის წინათ მისცა.**

მიმომხილველთა აზრით, შარონის ასეთი განცხადება არის ყველაზე მკაფიო სიგნალი იმისა, რომ პალესტინელთა ლიდერი, შესაძლოა იქცეს სამიზნედ ისრაელისთვის.

ისრაელის პრემიერის ასეთ განონათქვამზე ვაშინგტონმა დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება. არიელ შარონმა უნდა შეასრულოს თავისი დაპირება და არანაირი ფიზიკური ზიანი არ უნდა მიაყენოს პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარეს იასირ არაფატს, აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

„ჩვენ არაორაზროვნად მივანიშნეთ ისრაელის მთავრობას, რომ ვილაშქრებთ ნებისმიერი მსგავსი ქმედების წინააღმდეგ და ახლაც ვაპირებთ ამის გაკეთებას, ასეთი განცხადებების შემდეგ, – აღნიშნა თეთრი სახლის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა. – ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაპირება დაპირებაა“.



თვით შარონი კი აცხადებს, რომ ამის თაობაზე ესაუბრა ჯორჯ ბუშს გასულ კვირას ვაშინგტონში ვიზიტის დროს. „სამი წლის წინათ, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს, მე ყურად ვიღე თქვენი თხოვნა არ მიმეყენებინა არაფატისთვის ფიზიკური ზიანი, – გაიხსენა შარონმა ბუშთან საუბრის შინაარსი, – მაგრამ ახლა ვათავისუფლებ საკუთარ თავს ასეთი პირობისგან“.

მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება კვლავ დაჟინებით აცხადებს, რომ არაფატის ფიზიკური განადგურება მიუღებელია. „ამერიკის პოზიციაში არაფერი შეცვლილა. ჩვენ შევისწავლით შარონის მიერ გაკეთებულ განცხადებას და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს პასუხს“, – აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა.

ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, არაფატი, პრინციპში, შინაპატიმრობის პირობებში ცხოვრობს. მისი შტაბ-ბინა რამალაში თითქმის მთლიანად დაანგრიეს და ახლა არაფატი თავის თანაშემწეებთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს ერთ-ერთ გადარჩენილ შენობაში.

ისრაელში არაფატს მიიჩნევენ ინტიფადის სულისჩამდგმელად, რომელმაც ამ 3,5 წლის განმავლობაში 900-ზე მეტი ებრაელის სიცოცხლე იმსხვერპლა. პალესტინის ოფიციალური პირები გამოთქვამენ შეშფოთებას არაფატის ბედის გამო, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ებრაელებმა ფიზიკურად გაანადგურეს რადიკალური მოძრაობა „ჰამასის“ ორი ლიდერი.



# რეფერენდუმი კვიპროსში

**შაბათს კვიპროსის მცხოვრებლები მივიდნენ საარჩევნო უბნებში, რათა მიეღოთ მონაწილეობა კუნძულის გაერთიანების შესახებ რეფერუნდუმში. მათ უნდა უყარონ კენჭი გაეროს გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კუნძულის ბერძნული და თურქული ნაწილების გაერთიანებას. როგორც ცნობილია, კვიპროსი ორად არის გაყოფილი ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში.**

კენჭისყრა იმართება ევროპის კავშირში კვიპროსის გაწევრიანებამდე ერთი კვირით ადრე, და კუნძულის ორივე ნაწილის მცხოვრებლები თუ დაუჭერენ მხარს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შემუშავებულ გეგმას, გაერთიანებული ევროპის შემადგენლობაში შევა მთელი კვიპროსი. იმ შემთხვევაში, კი, თუ კუნძულის რომელიმე თემი გაილაშქრებს გაეროს გეგმის წინააღმდეგ, ევროკავშირში მხოლოდ კვიპროსის ბერძნული ნაწილი გაწევრიანდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოთქვამს წინადადებას, რომ კვიპროსში შეიქმნას ფედერალური სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც იარსებებს ორი ადმინისტრაცია – ბერძნული და თურქული.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ

# შენ და



## პალატა № 5

**ამას წინათ, დილით ნათია შემოვიდა ტირილით – მამა დამესიზმრაო. კარებში იდგა ადრე რომ იყო ისეთი ჯანმრთელი, იდგა და იღიმებოდაო. კისერზე ჩამოვეკიდე, ვეხვეოდი და ვეკითხებოდი როგორ ხარო. – იცი, ჩვენთან ძალიან ცივაო, გითქვამს, მაგრამ მე კარგად ვარო. დარჩიო, გეხვეწებოდა თურმე. არაო, ასე მოვალ და გნახავთ ხოლმეო. მას მერე გელოდება, მაგრამ აღარ მოდიხარ.**

„პირველ საათზე „სამშობლოსთან“, ხუთი საათისათვის სახლში ვიქნები“ – ყოველდღე უთანხმდებოდი ვიღაცეებს ტელეფონით. ჩვენც აივანზე ვიდექით ამ დროისთვის და გავცქეროდით ნიკოლაძის ქუჩას. აჰა, გამოჩნდებოდი შუა ქუჩაზე, ისედაც გოლიათურ მხრებს კიდევ უფრო ფართოს გიჩენდა გადაღეღილი „დუბლიონკა“, მოდიოდი და მოგქონდა მთელი ქუჩა. შენი პატარები სკამებზე შემდგარები ხელს გიქნევდნენ და ბაბუ, ბაბუო გეძახოდნენ, შენ კი მოდიოდი თავდაღუნული, თითებს იმტვრევდი და ვერავის გვხედავდი, ისე ჩაუვლიდი საფუნთუშეს, თავსაც არ მიაბრუნებდი, აღარ გახსოვდა, პური რომ უნდა ამოგეტანა. ფიქრს აღარ გაწყვეტინებდით, კარებს შეღებულს გახვედრებდი. პალტოგაუხდელი შეხვიდოდი შენს ოთახში, ფეხზედმდგომელა გაავსებდი თაბახს, უჯრაში ჩააგდებდი, შემობრუნდებოდი და მომღიმარეს რომ დამინახავდი, მაშინღა იტყოდი: ვახ, პური დამავიწყდა, წავალ ახლავე ამოვიტანო; მეორედ როგორ გაგიშვებდით, ნათია უკვე წასული იყო.

საღამოობით ახლაც აივანზე გავდივართ, ახლაც გასცქერიან ქუჩას შენი პატარები, მაგრამ აღარ მოდიხარ, აღარ მოგაქვს მთელი ქუჩა შენი გოლიათური მხრებით. უბრად შემოვდივართ შინ, ცრემლიან თვალებს ვარიდებთ ერთმანეთს.

ჩვენთან ძალიან ცივაო, – ვიცით მანდ რომ ცივა, მაგრამ აქაც საშინელი სიცივეა უშენოდ. აღარ უჩლექავ ენას შენს ონავრებს;

„ლუკა, ლოგოლა ხალ ბიჭო?“
ბასკატუნასნაირი გოგო,
ტყუილია, არა, ბასო?“

შენი ოთახი მილაგებულია. სადღაა მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი თაბახები და წიგნები. შენი „ამკლები ანგელოზები“ მოსვენებას რომ არ აძლევდნენ შენს უჯრებსა და თაროებს, ფეხსაც აღარ ადგამენ შიგ. არ მოსწონთ უჩვეულო სიცივე და წესრიგი. იქ შენს მაგივრად ყველა კედლიდან შენი სურათები იცქირებიან. „აი ჩემი ბაბუ, აი კიდევ ჩემი ბაბუ, აი კიდე ბაბუ“ თითს გაშვერს ლუკა. „ბაბუ ცაშია“, იტყვის ბოლოს და გამოიხურავს კარებს. ზოგჯერ სადღაციდან შენს სურათს მოარბენინებს, ბაბუ ვიპოვნეო, კოცნის და ჩვენც გვაკოცნინებს.

გახსოვს, რამდენი ვიცინეთ, თამუნიამ რომ გამოგვიცხადა ბებოზე ლექსი დავწერეო: „ბებო, ბებო, ჩემო საყვარელო ბებო, როგორ მინდა რამე გაჩუქო, მაგრამ არაფერი არა მაქვს“, გენიალურიაო იძახდი და თავზე კოცნიდი. შენ ისე საოცრად გიყვარდა შენი პატარები, მათი ყველაფერი განსაკუთრებულად გეჩვენებოდა.

იცით, ბაბუაზეც დავწერე ლექსიო, ამას წინათ გვითხრა თამუნიამ „ბაბუ, ბაბუ, ჩემო ბაბუ, როგორ მიყვარხარ, მაგრამ ახლა რა ვქნა, ჩემთან რომ აღარა ხარ?“.

აღარ გაგვიცინია, ცრემლი რომ შეგვნიშნა, შეწუხებულმა თქვა: ბაბუ ცაშია, მაგრამ მაინც ჩვენთანაა, იქნება ახლაც ჩემს გვერდით დგას, მეფერება და მე ვერ ვგრძნობო.

შენ მართლა ჩვენთანა ხარ, შოთა, სხვანაირად არ შეიძლება...

ჩვენი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი თანაცხოვრებიდან მომავალში უამრავ რამეს გავიხსენებ, თუ ძალზე მოკლე არაა ჩემი შენსკენ სავალი გზა. ჯერ კი სულ ის პატარა პალატა მიდგას თვალწინ, ხან საშინლად რომ მძულს და ხან საოცრად მენატრება, უფრო სწორად, შენ მენატრები.

პატარა ოთახი, ფართო ფანჯარა ბაღის მხარეს და ფანჯრის პირდაპირ შენი საწოლი. ალიონზე პაწია თავშავა ჩიტის გაკაპასებული კაკუნი რაფაზე: „ნამცეცები, ნამცეცები ჩქარა!“ და შენი ნამძინარევი ოდნავ ჩახრინწული ხმა:

– თამუ, დაგავიწყდა? დაუყარე რა!

– ახლავე, ახლავე, – შენ კი არა, ჩიტს ვეუბნები, თავი გვერდზე რომ გადაუწევია და ცალი თვალით მომჩერებია, – ო, შე კაპარჩხანა, ო, შენ პატარა ღორმუცელა. მაინც რა ჩიჩახვში გეტევა ამდენი? ან ძმა არა გყავს, ან და, ან დედ-მამა, ან შვილები, შენ რომ გამოძლები, მერე მაინც რომ მოიყვანო? ახლა მე აღარ მიყურებს, რაფას დასჩერებია და ჩუმად ქღურტულებს, თითქოს მეუბნება: ახლა ისეთი დროა, ყველამ თავის თავს მოუაროსო.

– შოთა, გახსოვს სოფელში ერთ მამალს რაინდა რომ შეარქვი? ნამცეციც რომ ეპოვნა, პირს არ დააკარებდა, გურგურით მოუხმობდა დედლებს.

– ეჰ, რა კარგი დრო იყო, რა ახალგაზრდები ვიყავით...

– ნუ წუწუნებ, არც ახლა ხარ ბებერი.

– ეჰ...

და იწყება ჩემი საქმიანობა: რაფაზე ბლომად ვყრი დაფშხვნილ პურს. მერე ჩემს საწოლს ვასწორებ, ან რა გასწორება უნდა, ტანგაუხდელად ვარ ხოლმე მიწოლილი.

მერე დიდი ბავშვი მყავხარ მისახედი.

– როგორ გაგაწვალე...

– აბა, აბა... ჯერ პირი მოვიბანოთ, ახლა თათოები, ასეე...

8 საათისთვის სიცხე გავიზომოთ და დავიწყოთ წამლები...

შენ თვინიერი, საოცრად დამჯერე და საყვარლად მორჩილი ხარ, უმწეოს ვერ ვიტყვი, მაგ სიტყვისთვის არ მემეტები.

– შენ დალიე?

– დამავიწყდა-მეთქი, გეტყვი და მიბრაზდები.

– გამოვალ სახლში და ვნახოთ, როგორ დაგავიწყდება.

კარი ფრთხილად იღება, მორიგე ექთანი შემოდის შპრიცით.

– როგორ ბრძანდებით, ბატონო შოთა?

– კარგად, – ნაძალადევი ღიმილით უპასუხებ.

– აბა ახლა საუზმე: თოხლო კვერცხი, ხაჭაპურის ნაჭერი და ერთი ჭიქა წვენი.

გეჩვენება, რომ ბევრია. არადა, ძალიან ცოტას ჭამ.

თერთმეტ საათზე კონფერენციაა, მერე ექიმების შემოვლა იწყება. აივსება ჩვენი ოთახი ცისფერხალათიანი ექიმებით. საბანს გადაგიწევენ, ჭრილობას დახედავენ.

– როგორ ხართ, ბატონო შოთა?

– ეგ მე უნდა გკითხოთ, – ღიმილით უპასუხებ შენ.

– დრო არის საჭირო და ყველაფერი კარგად იქნება,

– აგაშენათ ღმერთმა...

ღიმილით დაგემშვიდობებიან და ფრთხილად გაიხურავენ კარებს. არ გავაცილებ, ვიცი პალატის გარეთ სხვანაირი სახეები ექნებათ და მეშინია.

– ხედავ, როგორ მირთულდება ყველაფერი?

– სამაგიეროდ ყველაფერი კარგად მთავრდება.

ყოველ დილით ახალგაზრდა კაცი ჩამოივლის პალატებს, გაზეთებით ვაჭრობს, რამდენიმე გაზეთს ვიღებ. შენ მხოლოდ „ლიტერატურულ საქართველოს“ ათვალიერებ.

– შემინახე, სახლში წავიკითხავ.

მე კუთხეში მიდგმულ საწოლზე მოვირთხამ ფეხს, „ჭორიკანა“ გაზეთებიდან რაღაც-რაღაცეებს გიკითხავ, მერე კროსვორდებს მივადგები, რა მეკროსვორდება, მაგრამ მინდა აგიყოლიო.

– ყოჩაღ შოთა, – ბავშვივით გახალისებ, არადა, ყველა ძნელ კითხვაზე მართლა შენ იძლევი სწორ პასუხს.

– ცოტა გავხდი იცი?

– მერე მაგას რა ჯობია, სახლში რომ გავალთ, წაივარჯიშე, ეგ წონა შეინარჩუნე და ბიჭივით იქნები. დაეჭვებულმა შემომხედე, მაგრამ მგონი, დაიჯერე.

– შენ ჩემი ჭრილობა გინახავს?
– მითხარი ერთხელ შეშფოთებულმა
– ამას რა შეახორცებს?

შენს მოტყუებას რა უნდოდა.

– შენ გგონია, ყველას ასეთ ოპერაციას უკეთებენ? ეს შენ გაგიკეთა იმ გერმანელმა თორემ... ტყუილა კი არ იწვალა ათი საათი.

შე მართლა გულუბრყვილო დიდო ბავშვო, მერე ყველას ეუბნებოდი, ასეთ ოპერაციას, იმ გერმანელის გარდა ვერავინ გააკეთებდაო.

მინდა გაგამხიარულო:

– გინდა ჩემი პოემა წაგიკითხო?
– ვიცი, სათაურს ვიტყვი თუ არა, სიცილს დაიწყებ.

„როგორ ჩავიდა პატარა არტუში პორტარტურში“. იცინი, მაგრამ ძველებურად არა.

– გინდა „ნიანგში“ დავბეჭდოთ?

– რაღა უნდა დავბეჭდო, რაც კარგი იყო, შენ წაიღე, – გაბრაზებ მე.

საღამოს შემოცვივდებიან პალატაში შენი პატარა ანგელოზები, თამუნიას სჯერა, რომ ბიოდენები აქვს და საბნიდან გიცაცუნებს მუცელზე პაწაწა თითებს, დიდი ცისფერი თვალებით მოგჩერებია და გეკითხება;

– მოგირჩა?

შენ ისე მხიარულად უქნევ თავს, მგონია, მართლა მორჩი. ხომ ხდება სასწაულები! წასვლისას ნათია შუბლზე გკოცნის.

– მალე გამოდი რა, მამა.

– მალე, მალე, ერთ კვირაში გამოვალ.

წავლენ და მაშინვე აფორიაქდები:

– ლუკა ძალიან ცელქია, მოაჯირი აამაღლონ, სკამები არ დატოვონ აივანზე.

ერთხელ შუაღამისას წყალი მომთხოვე. უცაბდ რაღაცას ფეხი წამოვკარი და მთელი ძალით ძირს დავენარცხე, თითქოს ახლაც მესმის შენი ყვირილი:

– ვაიმე, დედა! ვაიმე, დედა!

– ნუ გეშინია, ნუ გეშინია! – წაქცეული გამხნევებდი მე.

წამოვდექი, ოფლიანი შუბლი მოგწმინდე და ტირილი ამივარდა.

– ხომ არაფერი მოიტეხე, მთლად განწირული არ ვყოფილვარ, – თავზე მისვამდი ხელს. შენ ხომ არ იცოდი, რა მატირებდა. შენ არც ის იცი, რომ ახლა ვარ ხელმოტეხილი, იქნებ იცი კიდეც, მაგრამ ეს ტკივილი არაფერია, შენი წასვლით გამოწვეულ ტკივილთან შედარებით.

მთელი ორი თვის მანძილზე ერთხელაც არ დაგიჩივლია. მხოლოდ ერთხელ თქვი, ცუდად ვარო, ხელები გამოიშვირე ჩემსკენ, ალბათ, შველას მთხოვდი და მერე ჩემი კივილის გარდა არაფერი მახსოვს.

შენ უფლის სამდურავი არ გეთქმის, შოთა! უხვად გქონდა ნაბოძები ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე. ერთადერთი თხოვნა არ აგისრულა მხოლოდ ზეციერმა:

***„უფალო, თუკი გიყვარვარ,
ძილში მომკალი,
არ მინდა განვიცადო
სიკვდილის წუთი,
არ მინდა განვიცადო
სიკვდილის შიში
უფალო, თუკი გიყვარვარ,
ძილში მომკალი“.***

საცრის ტოლა თვალები გქონია ბოლო წუთს. „ყველაფერი დამთავრდა“ ან „ყველაფერი დაიწყო“, როგორც შენ ამბობდი.

სულ ახლახან საოცარი სიზმარი ვნახე: სოფელში იყავი, დიდ ოთახში იწექი, თეთრი დალიანდაგებული საბანი გეხურა, სახეც უჩვეულოდ თეთრი გქონდა. ცივსა და ოფლიან ლოყაზე გაკოცე. დარჩიო, მითხარი, მერე ჩემი ადგილი სად არის-მეთქი, შენს საწოლს გადავხედე. ადგილი როგორ არ არისო და კუთხეში მიდგმულ ტახტზე მიმითითე. გარედან ხმაური შემომესმა, ახლავე მოვალ-მეთქი და გარეთ გავედი. მეზობლის ქალი ბუზღუნით მიდენიდა ძროხას, მოვუბოდიშე:

– ნაუცბადევად წამოვედი ხელცარიელი, ვერაფერი ჩამოგიტანე.

სახლამდე ჩავაცილე. უკან გზაწვრილით დავბრუნდი, მეზობლის ჭიშკარი შევაღე, ჩარღვეულ ღობეში, საიდანაც ჩვენს ეზოში გადავდიოდით მოკლეზე, ეკლიანი ტოტები ჩაერჭოთ. აქედან ვერ გადახვალთო, მითხრა უცნობმა დიასახლისმა და შორი გზა მაჩვენა, ასე წადითო. ვიარე, ვიარე და ჩვენი ეზოს საბიჯელასთან მივედი. ღობეზე ცხვარი იყო დაბმული თოკით. სარისთვის რომ უნდა ჩამეჭიდა ხელი, სწორედ ის თოკი შემომეხვია ზედ, ვიწვალე, ვიწვალე და ამ წვალებაში გამომეღვიძა. ვერ მოვაღწიე შენამდე, საბიჯელასთან დავრჩი. ალბათ, როგორ მელოდი!.. მე კი არ ვიცი, როდის გადმოვაბიჯებ ამ საბიჯელას. დავდივარ და წარამარა ვბუტბუტებ შენეულ სტრიქონებს: „ღმერთო, მე ეს სიზმარი ამიხდინე კარგად“. მართალია, აქეთ დავრჩი, მაგრამ მაინც მოგიახლოვდი, შოთა! ოღონდ საბიჯელაზე გადმოვიდე და სულ [illegible] შენთან.

(დასასრული იქნება).

**ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ
ᲘᲮ. „ᲡᲠ“ 63-71, 73, 75-93.**

## ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ეტაპზე არც იურიდიული, არც პოლიტიკური საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ აჭარის მიმართ გამოყენებული იყოს ყარსის ხელშეკრულება. ეს განაცხადა საქართველოს ელჩმა რუსეთში კონსტანტინე კემულარიამ. ელჩმა აბსურდული უწოდა ზოგიერთი პოლიტიკოსის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ ხელშეკრულების გამოყენება აჭარის მიმართ დღესაც შეიძლება.**

**„რუსეთის ოფიციოზმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახით, კერძოდ, განაცხადა, რომ აჭარის პრობლემა ეს საქართველოს საშინაო პრობლემაა, და რუსეთი ვერ იქნება აჭარის უშიშროების გარანტი. ასევე თურქეთიც ვერ იქნება აჭარის უშიშროების გარანტი“, – თქვა ელჩმა.**

## ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ აქვს ევროკავშირში შესვლის პოტენციალი, განაცხადა საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის მეთაურმა ტორბენ ჰოლცემ.**

**„საჭიროა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რამდენიმე ეტაპი, რათა ქვეყანა შეესაბამებოდეს ყველა საჭირო კრიტერიუმს. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანია განვითარების ეკონომიკური ასპექტი. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ახალი მთავრობა და ხალხი ყოველ ღონეს იხმარენ ამ მიმართულებით“, – აღნიშნა ჰოლცემ.**

## ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

**ᲩᲕᲔᲜᲡ არცთუ დალხინებულ ყოფაში ყოველი პოეტური კრებულის გამოჩენა ზამთრის პირქუშ დღეებში მზის გამონათებას ჰგავს, მით უფრო, თუ პოეტის სიტყვა ჩვენს სულსა და გულს სწვდება და ხშირად თავად შეგახსენებს თავს. ასეთი გრძნობა გეუფლება, როცა დადუნ თურქაძის სულ ახლახან გამოცემულ პატარა წიგნს - „შირაზის ბაღის მკრთალ სილუეტებს“ გაეცნობი. დადუნ თურქაძე ხშირად როდი გვანებივრებს თავის შემოქმედებით, მაგრამ დროდადრო ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მისი ლექსები უმალვე იქცევს მკითხველის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული სახეებით, ლაზათიანი სიტყვით, აზრის სინათლით, სიმართლით, მომავლის რწმენით, ერთი სიტყვით, იმით, რასაც თავის დამახსოვრება ჰქვია. დადუნ თურქაძის ახალი წიგნიც იმედებს არ გაგიმტყუნებთ, აქ დაბეჭდილი ყოველი ლექსი გაიძულებს ხელმეორედ დაუბრუნდე მას, წაიკითხო და გაითავისო. ერთ-ერთ ლექსში პოეტი წერს: „ფასეულიც კი, დრო დადგება, გადაფასდება, მაგრამ არასდროს ეკარგება ფასი სიკეთეს“. ჭეშმარიტად, ფასი სიკეთეს არასდროს ეკარგება, მით უფრო, რომ დადუნ თურქაძე თავად სიკეთის მკეთებელი, მართალი სიტყვის მთქმელი კაცია და მსგავსად სიკეთისა, არც მისი ლექსი დაიკარგება, რადგან იგი ჭეშმარიტად პოულობს თავის კუთვნილ ადგილს მკითხველის გულში. ეს კი შემოქმედის გამარჯვებაა.**

**წიგნი, რომლის რედაქტორია ჯარჯი ფხოველი, გამოსცა ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა იმერეთის გუბერნატორის დავით [illegible] თანადგომით.**

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ [illegible]**

## ეს იყო

[illegible]

# იანეთის ბაქანზე აღარ ჩერდება მატარებელი



## სერიიდან „ჩემი კოხროული“

> სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული
> გალაკტიონი.

**კოპიტნარს რომ ჩაუვლის მატარებელი, ტამბურში გასული მამაჩემი ფილტრამდედაყვანილ სიგარეტს მოისვრის ფანჯრიდან და კუპეში ბრუნდება. „აბა, დროა ახლა, ჩაიცვით, გაემზადეთ, ხო იცით, იანეთში დიდხანს არ აჩერებს“. რაღა გაღვიძება გვინდა მე და ჩემს დას, რიონის სადგურს რომ გამოვცილდით, იმის მერე ვცქმუტავთ. ყველაზე მძიმე ჩანთებს მამაჩემი წინასწარ გაიტანს ტამბურში, მერე მე მივყვები, შემდეგ ჩემი და თავისი უზარმაზარი თვალებფახულა თოჯინით, რომელსაც ყველგან თან დაატარებს, ბოლოს დედაჩემი. „რამე არ დაგრჩეთ“, – გამოგვძახებს მამა.**

გუბისწყლის რკინის ხიდს რახრახითა და დანდგარით გადაუვლის მატარებელი და შორს, ცაში ატყორცნილი ალვის ხეების იქით, ჩემი სოფელიც გამოჩნდება. სლოკინ-სლოკინით ჩერდება იანეთის ბაქანზე მატარებელი, გამცილებელი პირველი ხტება ვაგონის კიბიდან და ჩასვლაში გვეხმარება. „აბა, ბედნიერად დაისვენეთ! იცოდე, ბიჭო, სამი თვის მერე ჩემი ვაგონით უნდა წაგიყვანო თბილისში, ხომ მაძლევ სიტყვას“, – მემშვიდობება ხმელი, ჭაღარა ულვაშებიანი „პრავადნიკი“ და ხელს მიქნევს.

„მამი, აგერ გურამიას მანქანა,“ – თითს იშვერს ბაქნისგაღმა გზისპირისკენ ჩემი და. ყველას გვეცინება მის იმერულზე. იანეთის ბაქანთან ვტოვებთ ჩვენს თბილისურ კილოს და სამი თვე იმერულად, ქვემოიმერულად უნდა ვუქციოთ ენა. „საიდან გახსსოვს გურამიას მანქანა, შე ეშმაკის ფეხო?“, – იცინის მამა.

„ა, ჩამეიყვანე ხო ბაღნები, აპა ოლიფანტე ამ საღამოს დამპატიჟებს, ამ ჩაჩნებს რო მივუყვან. ერთი კვირაა, ყოველ ღამე გადმოდის ჩემსას და მაფრთხილებს, დილას სადგურზე გეიარე, ბაღნები ჩამოდიანო. რავა გეიხარებენ, ჭიშკართან რო სიგნალებს ავტეხავ. აი, რამხელა გაზრდილა, წყალს გისხამდნენ, ბიჭო? – ენას არ აჩერებს გურამი ბიძია და საბარგულში აწყობს ჩვენს ბარგს. გაუმართლა, მამა ისე არ გაუშვებს, ხუთი მანეთი რომ არ მისცეს, საღამოს კი ჩვენთან სუფრის თავში ადგილი გარანტირებული აქვს.

„რავალი ამინდებია დედაქალაქში?“ – ისე, ყოველი შემთხვევისათვის ეკითხება მამაჩემს და ხალათის ჯიბეებს ხელით ისინჯავს, ვითომ სიგარეტს ეძებს. იცის, მამაჩემმა უნდა მისცეს მაინც.

„პაპიროსი თუ გინდა, აგერ მაქვს“, – ხვდება გურამიას ოინს მამაჩემი და გაუხსნელ „სტალიჩნის“ კოლოფს აწვდის – „შენ გქონდეს“.

„აუ, აგი სადიდკაცო სიგარეტია, აჩია, „პრიმაზე“ შეჩოვილმა რავა მოვწიო, დამახველებს“, – იცინის გურამი, მამაჩემის ნაჩუქარ სიგარეტს საგულდაგულოდ ინახავს ჯიბეში და მეორე ჯიბიდან გაღუნული „პრიმის“ ღერს იღებს, „აბა, წავედით“.

„დააქალტამა ყოლიფერი წვიმებმა, – იწყებს გურამი და ოსტატურად არიდებს მანქანას შარაგზაზე გუბეებს, – ჯერე იყო, ზენამ გამარგლული სიმინდი მიწაზე დააწვინა, მერე წვიმებმა ჩაალპო. რა იქნება მოსავალი, არავინ იცის, ფუთ სიმინდას ალბათ ექვს მანათად გაყიდიან. ხეხილი ქე გადარჩა. ასეა, ბიძია, ვშრომობთ, წელში ვწყდებით, შაბათი ჩვენ არ ვიცით და კვირე, წამოუბერავს მერე აგი ზენა და გაგიოხრებს მოსავალს“.

თავს გვაცოდებს „გურამია შოფერი“, თორემ კარგად იცის მამაჩემმა, რომ ცხოვრებაში თოხი არ დაუჭერია ხელში – ხან კოლექტივის მანქანას დაახრიგინებდა და ჩაი გადაჰქონდა კანტორაში ასაწონად, ხან თავის დანგრეული, კულაშელი ურიასაგან ნაყიდი „პობედით“ დაქროდა აღმა-დაღმა.

„აქანა გადოუხვიოთ?“ – მეკითხება გურამია და სულ სხვა გზაზე მაჩვენებს.

„აქანა რაი გვინდა, გურამია ბიძია, აქეთ ეწრის გზაია, ჩვენ იანეთის მაღაზიას რო გავცდებით, ნიგვზებში უნდა გადავუხვიოთ“, – ვუქცევ კოხროულურად მეც.

„ა, რაია ფუძე, აჩია?! – მიუბრუნდება მამაჩემს გურამი. – წელიწადია არ ყოფილა ბაღანა და ყოლიფერი ახსოვს, აბა, ჩემი ჭიშკრიდან რომ გადავა, საღამომდის ჩემმა ოჯახობამ თუ არ მეიძია, სახლს ვერ მოაგნებს. რამოდნის ხარ ახლა შენ?“

„შვიდის“, – ამაყად ვპასუხობ მე.

„მალადეც!“ მოგესწრო ბიჭი, აჩია, მოგესწრო. არადა, შენი ბაღნობა ხუთი თითივით მახსოვს“.

ხუთ წუთში ჭიშკართან ჩერდება მანქანა. შიგნიდან მანქანის კარი არ იღება და ველოდებით, როდის გაგვიღებს „გურამია შოფერი“. ის კი არ ჩქარობს, პირველი გადადის და კარის გაღების ნაცვლად ჭიშკართან ყვირის: „ოლიფანტე, ოლიფანტე, ბაღნები ჩამოგიყვანე, გამოი, გამოი!“

ეშმაკია, მახარობლობა და ოფიციალური დაპატიჟება უნდა.

ატმებით, ვაშლებითა და ალუბლებით დაბურულ ეზოში ჩვენი სახლი არც მოჩანს. ბებია გამოდის სამზადიდან, ხელს მოიჩრდილავს და ეს ზოზროხა ქალი ისე გამოექანება ჭიშკრისკენ, თითქოს ცხოვრებაში არც წელი ტკენია და არც წნევას შეუწუხებია არასოდეს.

„თქვენ შემოგევლეთ, სადა ხართ, ბებია, ამდონ ხანს?! – იძახის და თავზე წაკრული თავშლის ბოლოთი ცრემლებს იწმენდს. – შენ აგაშენა, გურამია, ღმერთმა, სულ ასე გახარებულმა იარე, როგორც ამ დილას გამახარე“, – ისე ლოცავს გურამია შოფერს“, თითქოს თბილისიდან ჩამოვეყვანოთ თავისი მანქანით.

მერე...

მერე იწყება მთავარი. ბაბუა გადმოდის უკანა ეზოდან, თოხს ისე მოისვრის, ვითომც აწი აღარ იყოს მისი ხელში ამღები, დევივით კაცი არ ერიდება გადმობურულ ხეებს, როგორმე ბებიას რომ გადმოუსწროს და პირველმა აგვიტაცოს ხელში. „მაინც მომატყუილა შენგელიხეს ქალმა, ყანაში გამაგზავნა უთენია, ჯერე არ ჩამოვლენო, თვარა მაგი მომასწრებდა თქვენს დახვედრას?“ – ბუზღუნებს ბაბუა და ხელში გვიტაცებს მე და ჩემს დას.

ახლა ზეპირად ვიცი. სანამ ბარგს ეზოში ჩაიტანენ და მიალაგებენ, ბაბუამ ეზო უნდა მომატაროს. გამოცდა უნდა ჩავიბარო – რა მოიწია, რა გააკეთა, რა ააშენა.

„აგი, ბაბუა, მაისის ატამია, ხედავ რავაა დაზურგული? აგერ ქვიშნას რამდონი აბია, ვაშლი ცოტა ჩამოყარა ქარმა, მარა ხეზე ქეა თქვენი სამყოფი შერჩენილი, თხილი გვაქვს, ბაბუა, თხილის უნახავს გაგხდის, აპა, მეწლეურმა მსახლმაც გეიგიჟა თავი, ქვეყნის ვაჭრები მოდიან, მოგვყიდეო. არ ოუდგათ გვერდები, თქვენზე კაი ვინ შეჭამს მაგ მსხალს. რაც დარჩება, დავჩეჩქვოთ და ჭურში ჩავყაროთ, ოტკა იცის გადასარევი“.

დავყავარ ეზოში და ყურს უგდებს ბებიას ძახილს: „გაანებე ბაღანას თავი, გამეიცვალოს, ცვარია ჯერე, დოუსველდება ფეხები“. არადა ბაბუა მაგის ჩიტია ახლა, მანამდე გამიშვას, სანამ ყველაფერს არ მომატარებს? მერე აივანზე უნდა ამიყვანოს, კედელთან მიმაყენოს და ლურსმანით დანიშნოს ჩემი სიმაღლე. „აუ, ტკაველა მოგიმატებია, – ბაბუაჩემი, შარშან ზაფხულს მიჭედებულ ლურსმანს კედლიდან აძრობს და მტკაველით მაღლა აჭედებს.

„სულ გამოთაყვანდი, კაცო, არ შეიძლება ბაღანის გაზომვა!“ – ჩხუბობს ბებია, მაგრამ ბაბუაჩემი ყურადღებას არ აქცევს. იცის შენგელიხეს ქალმა, ვერაფერს გააგებინებს ბაბუას და ახლა თვითონ იწყებს გამოცდის ჩაბარებას დედაჩემ-მამაჩემთან.

უყვება, რამდენი წიწილა დაგვახვედრა, რამდენი ვარია, რამდენი დედალ-მამალი, რამდენი გოჭი, რამდენი ქილა კომპოტი მოხუფა და რამდენი სამლიტრიანი „ვიშნოვკა“ დააყენა.

ბოლო აკორდი წუწუნით უნდა ჩაამთავროს. „სამი წიწილა გამიჭყლიტა ოლიფანტემ, ფეხები აქვს, ტაშტში არ ეტევა, იმხელა. თვალს რო დააკლდა, ისე აბიჯებს წიწილებს, საცოდავები გაქცევას ვერ ასწრებენ. „ქუხნაში არ მინახავს მე წიწილები, ეზოში უნდა გყავდეს“. – პასუხი მომზადებული აქვს ბაბუას.

„აჩია, წვიმა ჩამოდის ზალის კუთხეში და ტაშტი მაქვს შედგმული, – სუფრას აწყობს ბებია და თან, ყოველ შემთხვევისთვის, ამბობს, – ქე მითხრა მამაშენმა, ტყვილი რავა დავწამო, ავალ და გავაკეთებო, მარა ერთ კრამიტას რომ გაასწორებდა, ათს დამინტროვდა და არ გოვუშვი. ისე პატარა ხვარაა, გული კი ერჩის, მარა სამოცდაათს გადააცილა“.

„შენ ხო მყევხარ ხუთმეტი წლის“, – იცინის ბაბუა და თვალს მიკრავს.

„ახლა არ მოვწონვარ, თვარა ატალახებული ქონდა ყოველ კვირას ჩვენი ჭიშკარი. თბილისიდან რომ ჩამოდიოდი და კულაშელ ბიჭებს ცახცახი გოუდიოდათ შენს დანახვაზე, რავალი იყო, ახლა არ მოგწონვარ? მეგეყვანა ქალაქელი ქალი და გეყოლებოდა ახლა ზალის კედელზე შავ ჩარჩოში გაჯგიმული. რაც მე შენი ხუშტურებისა და ქეიფებისა გამიძლია, ბარე ათი ქალი ვერ გაგიძლებდა, – თავს იწონებს ბებიაჩემი, – მაგ ლაპარაკს, გირჩევნია, შეშა შემეიტანო, სანამ სადილს გავაკეთებ, ჩაი დავალევინოთ ბაღნებს, მერე გოდრის ქვეშ დაბმული ქათმები დამიკალი“.

**არც ტყუოდა შენგელიხეს ქალი. ივანე შენგელიას ათი ქალ-ვაჟი მართლაც სილამაზით იყვნენ განთქმულნი მთელ იმერეთში. მკაცრი მამა და ხუთი ძმა ხუთ დას ეზოს გარეთ არ უშვებდა. შეძლებულმა ივანე შენგელიამ სახლში უქირავა თავის ქალიშვილებს მასწავლებლები და იმ დროისათვის მართლაც შესაშური განათლება მიაღებინა. ყველას უკვირდა, სად ნახა ბაბუაჩემმა ბებიაჩემი, როგორ შეაყვარა თავი და თბილისში როგორ წაიყვანა. ოთხმოცდაექვსი წლის იყო ბებია, როდესაც გარდაიცვალა, ბოლომდე არ დაუკარგავს თავისი სილამაზე და მშვენება. სიცოცხლის ბოლომდე ეჭვიანობდა ბაბუაჩემზე, რომელსაც, მიუხედავად თავისი ვაჟკაცური გარეგნობისა და მომხიბვლელობისა, ერთხელაც არ უღალატნია მეუღლისათვის. ბაბუა რომ გარდაიცვალა, მაშინ წამოცდა ბებიას – ვიცოდი, ათასი ქალი უქუქუნებდა თვალებს, მაგრამ ყოველთვის ჩემი ერთგული იყოო. ერთ წელიწადში შენგელიას ქალმაც მიაბარა უფალს სული. ორივენი 1903 წლის პირველ მაისს იყვნენ დაბადებულნი.**

„გოდრის ქვეშ დაბმული ქათმები დამიკალი“, – ყველაზე მტკივნეული და ძნელად შესასრულებელი დავალება იყო ბაბუაჩემისთვის. „კაცს შეჭამს ცოცხლად ოლიფანტე ვაშაკიძე და საკლავს ნუ დააკვლევინებო“, – იტყოდნენ სოფელში. მართლაც ეს დევივით კაცი ისეთი გულჩვილი იყო, რომ ყველაფერზე ცრემლი ადგებოდა თვალზე. ვიცოდი, უკანა ეზოში გადასული ბაბუაჩემი მეზობლის ბიჭს დაუძახებდა ჩუმად, ალაგეზე გადაიყვანდა და ქათმებს იმას დააკვლევინებდა, მერე ბებიაჩემს გამოსძახებდა – მეიტანე, ქალო, ტაშტი და წეიღე ეს საცოდავებიო.

დედაჩემს თავისი გემოვნებით უნდა მიელაგებინა ჩვენი ოთახი, მამაჩემს ცოტა დაესვენა, ჩემი და ბავშვებში გაქცეულიყო თავისი თოჯინის საჩვენებლად, მე და ბაბუ კი... ბაბუას აუცილებლად უნდა მოემიზეზებინა – შაქარი და პურია მოსატანი, ზეთიც გამოგვლევიაო და სოფლის კოოპერატივში უნდა წავსულიყავით. ეს იყო მისი უდიდესი სიამოვნება. მაღაზიამდე იმერული წესით ყველას შორიდან უნდა მისალმებოდა, მაგრამ ცოტას ყოვნდებოდა ყველა ჭიშკართან, რატომ?

„უი, ოლიფანტე, მამუკა ჩამევიდა? რამხელა გაზრდილა, ბოშო, რავა შენ დაგმსგავსებია სიმაღლეში, რავა ხარ, ბებია?“ – ხან ერთი ჭიშკრიდან მომაძახებდნენ, ხან მეორე ეზოდან და ბაბუას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

* * *

**ახლა როდესაც იმ ბავშვობის მოგონებებიდან ოცდათხუთმეტი წელი გავიდა, ზუსტად ისე მეღვიძება, კოპიტნარს რომ გასცილდება მატარებელი, ზუსტად ისე ვცქმუტავ, იანეთის ბაქანს რომ მიაკივლებს გუბისწყლის რკინის ხიდზე გადასული ელმავალი. შორს, ცამდე აწვდილი ალვის ხეების იქით მიყუჟულ ჩემს სოფელს რომ გავხედავ, ის გრძნობა მეუფლება, „გურამია შოფერმა“, სანამ სახლში მიმიყვანს, ქვეყნის ამბები უნდა გამომკითხოს, მოსავალზე დაიწუწუნოს, „სტალინკა ხალათის“ ჯიბეში გაღუნული, თუთუნჩაფშვნილი „პრიმის“ ღერი მოძებნოს და ბებია-ბაბუაჩემს ჭიშკართან პირველმა ახაროს ჩემი ჩასვლა.**

**არადა, აღარ არიან ბებია და ბაბუა, არც მამაჩემი, აღარც „გურამია შოფერია“ ცოცხალი. იანეთის ბაქანზეც არ ჩერდება მატარებელი..., ასეთი ბედი ჰქონია პატარა ბაქანს...**

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

3 (71)

## ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

**ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მაისის პირველ დღეებში დასრულდება. პარასკევს საქართველოს მთავრობამ ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი თბილისში მოიწვია. იგი ჩვენს დედაქალაქს მომავალი კვირის დასაწყისში ესტუმრება. როგორც გაირკვა, ფიდეს პრეზიდენტის ვიზიტის მიზეზი გახდა საქართველოს მთავრობის სურვილი ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის თბილისში გამართვის შესახებ.**



# კირსან ილუმჟინოვს თბილისში ელოდებიან

ჭადრაკის მოყვარულებს ახსოვთ, რომ შარშან შემოდგომაზე კირსან ილუმჟინოვის თბილისში სტუმრობისას საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ფიდეს პრეზიდენტს ოფიციალურად შესთავაზა ამ ჩემპიონატის თბილისში გამართვა. სულ მალე ფიდეს კონგრესმა საქართველოს წინადადება დაამტკიცა.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა ეს საკითხი მეორე პლანზე გადასწია. ქართული სპორტის მესვეურებმა წერილობით აცნობეს ჭადრაკის ფედერაციას, რომ ბიუჯეტის სახსრებით მსოფლიო ჩემპიონატის თბილისში გამართვა შეუძლებელი იყო და სპონსორების მონახვა შესთავაზეს.

ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის ძალისხმევით დაიწყო მოლაპარაკება ჩემპიონატის ბათუმში გამართვის თაობაზე.

15 აპრილს ფიდეს პრეზიდენტი ბათუმში ჩაფრინდა და კირსან ილუმჟინოვს და ასლან აბაშიძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში 21 მაისიდან 7 ივნისამდე გამართვის შესახებ.

სულ მალე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფიდეს ოფისს გაუგზავნა წერილი, რეკომენდაციით გადაესინჯათ ეს გადაწყვეტილება. ძირითად მიზეზად აჭარაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მონაწილეთა უსაფრთხოების გარანტიების შეუძლებლობა დასახელდა.

19 აპრილს გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის რიგგარეშე სხდომა. გამგეობის წევრებმა თავისი დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან მიავლინეს.

ქართული საჭადრაკო სკოლის მდიდარი ტრადიციების და ქართველ ქალთა საჭადრაკო ფენომენიდან გამომდინარე, გასაგებია ის ვნებათაღელვა, რაც ჩვენს საზოგადოებაში ამ საკითხმა გამოიწვია.

დღეს ჩვენთვის ცნობილია 19 აპრილს პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრის რეალური შედეგი. მსოფლიო ჩემპიონატის გასამართად აუცილებელი, საკმაოდ სოლიდური თანხა მოძიებულია. ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა კირსან ილუმჟინოვის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ.

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში 64 მოჭადრაკე იასპარეზებს, მათ შორის შვიდი – საქართველოს წარმომადგენელი. მოსალოდნელია, მათი რიცხვი კიდევ გაიზარდოს, თუ ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანაში გაიმართება.

დღეს „ლაზიერის“ მე-8 გვ-ზე გაეცნობით ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიას. საინტერესოა, როგორ ჩაიწერება მასში წლევანდელი ასპარეზობა.

**ანზორ ბასილაია.**

## დრეზდენში




# ევროპა ჩინელთა „ბატონობისგან" იხსნა

გერმანიის ქალაქ დრეზდენში გაჰოლანდიელებული ჩინელი ჯაოფინ პენგი კარგა ხანს ლიდერობდა ევროპის მოჭადრაკე ქალთა V ჩემპიონატს. 12 შესაძლებლიდან მან 9,5 ქულაც მოაგროვა, მაგრამ პირველობისთვის მაინც არ ეყო – 20 წლის რუსეთელი ლამაზმანი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი წამოეწია. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად ორი 15-წუთიანი ტაი-ბრეიქი დაინიშნა. 1,5:0,5 იმარჯვა კოსტენიუკმა და ევროპა ჩინელთა „ბატონობისგან“იხსნა.

ჩემპიონატში ოთხი ქართველი მოჭადრაკეც (ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი) მონაწილეობდა. თორმეტრაუნდიანი ორთაბრძოლების შემდეგ მესამე ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებდა ნანა ძაგნიძე, რომელმაც, სუსტი სტარტის მიუხედავად, საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ქუთაისელმა დიდოსტატმა განსაკუთრებით ბოლო ტურებში იყოჩაღა, თუმცა, ახალგაზრდა მოჭადრაკეს კვარცხლბეკზე ასასვლელად გამოცდილება არ ეყო: მედლისკენ მიმავალ გზაზე მას ევროპის ექსჩემპიონი ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა გადაეღობა და ტაიბრეიქში 1,5:0,5 მოუგო. ბულგარელმა დიდოსტატმა მსგავსი ანგარიშით დაამარცხა უკრაინელი ევროპის ექსჩემპიონი ნატალია ჟუკოვა და მესამე ადგილი დაიკავა. მეხუთეზე გავიდა ნანა ძაგნიძე, რომელმაც ბოლო რაუნდში ირინა სლავინას სძლია. ნანამ 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური დაიმსახურა. თორმეტ საუკეთესოში მოხვდა შოტლანდიაში მცხოვრები ქეთევან არახამია-გრანტი (VIII ადგილი) და მასაც ქრისტინა ფოიშორთან, პია კრამლინგთან (ევროპის შარშანდელი ჩემპიონი), მონიკა სოცკოსთან და იოანა ჰოუსკასთან ერთად ხვდა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. სამწუხაროდ, 12 საუკეთესოს მიღმა აღმოჩნდნენ ნინო ხურციძე და მაია ლომინეიშვილი, რომლებმაც, შესაბამისად, მე-14 და 23-ე ადგილები დაიკავეს.





**პეპტანი-ძაგნიძე.**

**35...e4 36.□xd6 exf3 37.g3 ♖d4 38.□c6 ♖d2 39.□c3 ♖e2 40.♖ce1 □b7 41.♖c1 ♖xe3 42.□c6 □xc6 43.♖xc6 ♖e2 44.b3 ♖d8 0—1.**

**ია გავაშელი.**

**სურათზე: ალექსანდრა კოსტენიუკი.**

## ხუთი საგზურისთვის

# უმაღლესი ლიგა — უცნაური ფორმულით

ევროპის ვაჟთა ინდივიდუალური ჩემპიონატი 14 მაისს ანტალიაში აიღებს სტარტს. ვადის შეცვლამ კორექტივი შეიტანა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის გამართვის ფორმულაში. იმის გამო, რომ ვერ ხერხდებოდა ფინალში თამაშის უფლების მქონე ყველა მოჭადრაკის ერთდროულად თავმოყრა, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ისინი ორ 8-კაციან ჯგუფად გაყო. პირველმა ჯგუფმა 7-15 აპრილს გაარკვია ურთიერთობა. მეორე ჯგუფი კი მაისის დასაწყისში ითამაშებს.

დებულების თანახმად, პირველ ორ ადგილზე გასული მოჭადრაკეები ჩემპიონატის მედლებს გაითამაშებენ. სამი პრიზიორი კი საქართველოს ოლიმპიური გუნდის საგზურს მიიღებს. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა შემოდგომაზე ესპანეთში გაიმართება. ორი წლის წინ სლოვენიაში ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა მისთვის ძალიან საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა, ამიტომ მათ გამოსვლას წლეულს ყველა დიდი ინტერესით ელის. ნაკრებს ქართული ჭადრაკის უცილობელი ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი უთავკაცებს. გუნდის ექვსივე წევრის ვინაობა საბოლოოდ გაირკვევა ევროპის და მსოფლიოს პირადი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი 18 ივნისს დაიწყება ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში. ქართველი მოჭადრაკეებიდან ტრიპოლში თამაშის უფლება მოპოვებული აქვთ ზურაბ აზმაიფარაშვილს, გიგა ყაჭეიშვილს და ბაადურ ჯობავას.

ყველა მოელოდა, რომ აპრილის ჯგუფში ფინალის ორი საგზურისთვის საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი და ზვიად იზორია იბრძოლებდნენ.

მიხეილ მჭედლიშვილმა სუსტად იასპარეზა. მან შვიდ პარტიაში მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა და ჯგუფში მე-6 ადგილი დაიკავა. ზვიად იზორიამ და ბაადურ ჯობავამ ოთხოთხი პარტია მოიგეს, სამი შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს და ფინიშის სწორი 5,5 ქულით გადაკვეთეს. უკეთესი კოეფიციენტით პირველია ზვიად იზორია.

4,5 ქულით მესამე მაჩვენებელი აქვს გიორგი ბაღათუროვს. ლევან ფანცულაიამ 3,5 ქულა, დავით ზარქუამ კი 3 ქულა მოაგროვა. 1,5-1,5 ქულაა აკაკი შალამბერიძის და ალექსანდრე ყაშაშვილის აქტივში.

მეორე ჯგუფში ვიხილავთ გიორგი ყაჭეიშვილს, მერაბ გაგუნაშვილს, ზურაბ სტურუას, თამაზ გელაშვილს, თორნიკე სანიკიძეს, ბაჩანა მორჩიაშვილს, კონსტანტინე შანავას. მერვე მოჭადრაკის ვინაობა ამ დღეებში გაირკვევა.

გთავაზობთ ახალგაზრდა დიდოსტატების **ზვიად იზორიას** და **ბაადურ ჯობავას** პარტიებს ზემოთ აღნიშნული ტურნირიდან.





**ზვიად იზორია-ალექსანდრე ყაშაშვილი. ვოლგის გამბიტი.**

**1.d4 ♘f6 2.c4 c5 3.d5 b5 4.♘f3 e6 5.□g5 bxc4 6.♘c3 d6 7.e4 □e7 8.□xc4 e5 9.□b5+ ♘bd7 10.♘xe5 dxe5 11.d6 □f8 12.□c6 ♖b8 13.♘d5 ♖b6 14.□xf6 gxf6 15.□xd7+ □xd7 16.□a4+**



**♖c6**

**17.□xa7+ □e6 18.f4 exf4 19.♘xf4+ □e5 20.0—0 □xd6 21.□xf7 □g8 22.□h5+ □g5 23.□d1 □g8 24.□h5+ □g5 25.□f3 □a6 26.□c3+ □xe4 27.□f3+ 1—0.**

**მიხეილ მჭედლიშვილი-ბაადურ ჯობავა. ძველინდური დაცვა**

**1.d4 ♘f6 2.c4 g6 3.♘c3 □g7 4.e4 d6 5.♘f3 0—0 6.□e2 e5 7.0—0 ♘a6 8.□g5 h6 9.□h4 g5 10.□g3 ♘h5 11.dxe5 ♘xg3 12.hxg3 dxe5 13.♘h2 ♘c5 14.♘g4 ♘e6 15.♘e3 ♘d4 16.□g4 □e6**



**17.□f5 c6 18.□h5 □e7 19.♖ae1 ♖ad8 20.♘e2 ♖fe8 21.♘xd4 exd4 22.♘g4□xc4 23.♘xh6+ □xh6 24.□xh6 f6 25.f4 □xf1 26.♖xf1 □g7 27.□h3 g4 28.□xg4 ♖xe4 29.□e6+ □f8 30.□f5 ♖e2 31.g4 □e7 32.□c4 □e3+ 33.□h2 □g7 0—1.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 9(4), კვირა, 25 აპრილი, 2004 წელი.

ისტორია


ვერა მენჩიკი.


ლუდმილა რუდენკო.


ელიზავეტა ბიკოვა.

# ქალთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

## 1927-2001 წ.წ.


ოლღა რუბცოვა.


ნონა გაფრინდაშვილი.


მაია ჩიბურდანიძე.

| ტურნირი, მატჩი | მონაწ. რაოდ. | წელი | ქალაქი | ჩემპიონი | შედეგი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ტურნირი | 12 | 1927 | ლონდონი | მენჩიკი | 10,5 (+10 -0=1) |
| 2. მატჩ-ტურნირი | 5 | 1930 | ჰამბურგი | მენჩიკი | 6,5 (+6 -1=1) |
| 3. მატჩ-ტურნირი | 5 | 1931 | პრაღა | მენჩიკი | 8 (+8 -0=0) |
| 4. მატჩ-ტურნირი | 7 | 1933 | ფოლკსტონი | მენჩიკი | 12 (+12 -0=0) |
| 5. ტურნირი | 10 | 1935 | ვარშავა | მენჩიკი | 9 (+9 -0=0) |
| 6. ტურნირი | 26 | 1937 | სტოკჰოლმი | მენჩიკი | 14 (+14 -0=0) |
| 7. ტურნირი | 20 | 1939 | ბუენოს-აირესი | მენჩიკი | 18 (+17 -0=2) |
| 8. ტურნირი | 16 | 1949-50 | მოსკოვი | რუდენკო | 11,5 (+9 -1=5) |
| 9. ბიკოვა-რუდენკი | | 1953 | ლენინგრადი | ბიკოვა | 8:6 (+7 -3=2) |
| 10. მატჩ-ტურნირი | 3 | 1956 | მოსკოვი | რუბცოვა | 10 (+7 -3=6) |
| 11. ბიკოვა-რუბცოვა | | 1958 | მოსკოვი | ბიკოვა | 9,5:6,5 (+7 -4=5) |
| 12. ბიკოვა-ზვორიკინა | | 1959 | მოსკოვი | ბიკოვა | 8,5:4,5 (+6 -2=5) |
| 13. გაფრინდაშვილი-ბიკოვა | | 1962 | მოსკოვი | გაფრინდაშვილი | 9:2 (+7 -0=4) |
| 14. გაფრინდაშვილი-კუშნირი | | 1965 | რიგა | გაფრინდაშვილი | 8,5:3,5 (+7 -3=3) |
| 15. გაფრინდაშვილი-კუშნირი | | 1969 | თბილ.-მოსკ. | გაფრინდაშვილი | 8,5:4,5 (+6 -2=5) |
| 16. გაფრინდაშვილი-კუშნირი | | 1972 | რიგა | გაფრინდაშვილი | 8,5:7,5 (+5 -4=7) |
| 17. გაფრინდაშვილი-ალექსანდრია | | 1975 | ბიჭვინთა-თბილ. | გაფრინდაშვილი | 8,5:3,5 (+8 -3=1) |
| 18. ჩიბურდანიძე-გაფრინდაშვილი | | 1978 | ბიჭვინთა | ჩიბურდანიძე | 8,5:6,5 (+4 -2=9) |
| 19. ჩიბურდანიძე-ალექსანდრია | | 1981 | ბორჯომი | ჩიბურდანიძე | 8:8 (+4 -4=8) |
| 20. ჩიბურდანიძე-ლევიტინა | | 1984 | ვოლგოგრადი | ჩიბურდანიძე | 8,5:5,5 (+5 -2=7) |
| 21. ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაია | | 1986 | სოფია-ბორჯომი | ჩიბურდანიძე | 8,5:7,5 (+3 -2=1) |
| 22. ჩიბურდანიძე-იოსელიანი | | 1988 | თელავი | ჩიბურდანიძე | 8,5:6,5 (+4 -2=9) |
| 23. სე ცზიუნი-ჩიბურდანიძე | | 1991 | მანილა | სე ცზიუნი | 8,5:2,5 (+7 -1=3) |
| 24. სე ცზიუნი-იოსელიანი | | 1993 | მონაკო | სე ცზიუნი | 8,5:2,5 (+7 -1=3) |
| 25. ჟ. პოლგარი-სე ცზიუნი | | 1996 | ჰაენი | ჟ. პოლგარი | 8,5:4,5 (+6 -2=5) |
| 26. ნოკაუტ-სისტემა სე ცზიუნი-ცინ კანინი | 64 | 2000 | ნიუ დელი | სე ცზიუნი | 2,5:1,5 (+1 -0=3) |
| 27. ნოკაუტ-სისტემა ჟუ ჩენი-კოსტენიუკი | 64 | 2001 | მოსკოვი | ჟუ ჩენი | 5:3 (+4 -2=2). |


სე ცზიუნი.


ჟუჟა პოლგარი.


ჟუ ჩენი.

ფესტივალი

# მთავარი ტურნირი – ივნისში გაიმართება

საჭადრაკო კლუბ „ნტნ“-ში გრძელდება ფესტივალი „ნონას თასი-2004“. აპრილში გაიმართა ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე ასპარეზობა. 14 წლის მოჭადრაკე გოგონათა შორის ფინიშის სწორზე ერთად აღმოჩნდნენ თაკო რამნიაშვილი, ანი თოფურიძე და სალომე ხაჟომია, რომლებმაც 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ცხრა პარტიაში. უკეთესი კოეფიციენტის გამო პირველობა თაკო რამნიაშვილს მიეკუთვნა. მეორე ადგილზეა სალომე ხაჟომია, მესამეზე – ანი თოფურიძე. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ქეთი წაწალაშვილი და მარიამ დიასამიძე.

ამავე ასაკის ჭაბუკთა ტურნირში აშკარა იყო ელგუჯა ლაღიაშვილის უპირატესობა. მის აქტივშია რვა მოგება და ერთი ყაიმი. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ლუკა პაიჭაძე. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს გეგა მაისურაძემ, ირაკლი ჯანიაშვილმა და თამაზ გუგულაშვილმა. მესამე ადგილი გეგა მაისურაძეს მიეკუთვნა. სულ ტურნირში 44 ჭაბუკი და 21 გოგონა ასპარეზობდა.

მწვრთნელთა კონკურსში, ამ ტურნირის შედეგების გათვალისწინებით, კიდევ უფრო დაწინაურდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი. ხუთეულში მოხვედრის რეალური კანდიდატები არიან ზაზა ჭკუასელი, გივი გოგიჩაიშვილი, ციური კობაიძე და ალექსანდრე ყაშაშვილი.

ფესტივალის ორგანიზატორებმა არც მოყვარული მოჭადრაკეები დაივიწყეს. ამ კატეგორიას ისინი მიეკუთვნებიან, ვისაც საერთაშორისო რეიტინგი არ გააჩნია. შეჯიბრებაში გაიმარჯვა პაატა ვაშაკიძემ, მეორე შედეგი აქვს ალექსანდრე არზუმანოვს, მესამეზეა ირაკლი ცქიტიშვილი. ქალთა შორის საუკეთესო იყო ნინო იმნაძე.

პარასკევს კლუბ „ნტნ“-ში ჭადრაკის მოყვარულთა კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი გაიმართა. ხელოვნების მუშაკთა მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა, აგრეთვე ჟურნალისტთა პაექრობაში (7 ტური) პირველი ადგილი 6,5 ქულით დაიკავა თსუ-ს მეცნიერ-მუშაკმა აკაკი ლიპარტელიანმა, 5,5 ქულით მეორე იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი რევაზ ტაკიძე, ასეთივე შედეგით მესამე ადგილი ხვდა გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის მოადგილეს თენგიზ ჩობანიძეს. ჟურნალისტებს შორის თავი გამოიჩინა გიგლა გობეჩიამაც, რომელსაც ფულადი პრიზი გადაეცა.

სულ ამ ტურნირში 27 ჭადრაკის მოყვარული გამოვიდა.

ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მაისშიც გაგრძელდება, ივნისში კი სავარაუდოდ მთავარი ტურნირი გაიმართება.

**კობა დავითაია.**

ჭადრაკის ტრფიალნი

# კაცი, რომელიც ცხოვრების გამოკვლევას ელის

**ისიც ჩემსავით „პარლამენტიზებული“ მათემატიკოსია – უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აპარატში მათემატიკური მეცნიერებიდან მოსული. ახლა ინფორმატიკის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტია.**

**საჭადრაკო ურთიერთობა ჩვენ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში წლობით ერთად მუშაობისას გავარკვიეთ (დაახლოებით ერთი „წონითი“ კატეგორიისა აღმოვჩნდით) – მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, სპორტული ტრადიციებითაც ერთ-ერთ მდიდარ კვლევით დაწესებულებაში (რა დასანანია, რომ ეს ტრადიციები მთელ სისტემაში მოიშალა...). რაკი პარლამენტშიც „გვერდიგვერდ“ ვართ, არ გაგვჭირვებია სასაუბროდ შეხვედრა...**

სიმონ რაზმაძე 51-ე წელშია გადამდგარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. ჰყავს მეუღლე თამილა პერტია, პროფესიით ბიოლოგი; შვილები მარიამი (19 წლისა) და თორნიკე (18 წლისა); ორივენი თსუ-ს გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

**– სიმონ, ხომ არ გაიხსენებ, როდის და როგორ დაუმეგობრდი ჭადრაკს?**

– რუსთავის მე-17 სკოლაში ვსწავლობდი, როგორც მახსოვს, მეხუთეკლასელმა მოვკიდე ჭადრაკს ხელი. VIII კლასში რომ ვიყავი, ქალაქის ჭაბუკთა ნაკრებში მოვხვდი, ექვსკაციან გუნდში IV დაფასთან დამსვეს. ჩვენმა გუნდმა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზეც ითამაშა, ჩემს დაფაზე III ადგილი დავიკავე. 15 წლისას პირველი თანრიგი მქონდა (სწორედ VIII კლასში) და ასევე დამრჩა... რუსთავის საქალაქო პიონერთა სახლის საჭადრაკო წრეში ჯერ რეზო გოჩიქაშვილი გვამეცადინებდა მცირე ხნით, მერე, დიდხანს, სურენ სააკიანი, რომელიც კარგ პედაგოგად მახსოვს.

**– ჭადრაკი, რა თქმა უნდა, უმაღლეს სასწავლებელშიც „გაიყოლე“...**

– უნივერსიტეტში კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე შევედი. უნივერსიტეტის საჭადრაკო კლუბში თამაზ კიკიანსა და სულიკო მეგრელიშვილთან ვმეცადინეობდი. ხანდახან ფაკულტეტის ნაკრებში გამოვდიოდი. ერთ წელიწადს ფიზიკის ფაკულტეტის ძლიერ გუნდს მოვუგეთ ფინალური მატჩი და უნივერსიტეტის ჩემპიონი გავხდით. სხვა განსაკუთრებული წარმატებები სტუდენტობისას არ მქონია.

**– ახალგაზრდული საჭადრაკო ცხოვრებიდან „სამხიარულო“ ამბებს ხომ არ მოიგონებ?**

– რამდენიც გინდათ... ასპირანტურის კურსი მოსკოვში გავიარე, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. დედაქალაქის ასპირანტთა ტურნირი გაიმართა ხუთწუთიან ბლიცში. საერთო საცხოვრებელში მთელ ღამეს პრეფერანსს ვთამაშობდი, დილის 9 საათზე დავიძინე და ერთ საათში გამაღვიძეს, გინდა თუ არა, პირველობაზე ითამაშეო (არ მინდოდა!). ორ ჯგუფად მოაწყვეს შეჯიბრება – დიდიდან 3 კაცი გადიოდა ფინალში, პატარიდან – ერთი. დიდში მოვხვდი, ბოლო ტურში ერთ სომეხს ვეთამაშები, თუ მოვუგებ, ფინალში გავდივარ მესამე ადგილით. ჩემს მეტოქეს აღარავითარი შანსი არ ჰქონდა, ზერელედ

იხ. მე-9 გვ.

## თაობა

# ბაქოელთა ახალი კერპი

**41 წლის გარი კასპაროვი ჯანღონით აღსავსეა და, ეჭვგარეშეა, კიდევ დიდხანს ითამაშებს ჭადრაკს. ამასთან, ბაქოელებს ახალი კერპიც ჰყავთ – 17 წლის თეიმურ რაჯაბოვი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებენ. მასთან ყველა ინტერვიუ მეტად საინტერესოა.**


თეიმურ რაჯაბოვი.

**– შენ თვითონ დამოუკიდებლად ემზადები?**

– ძირითადად მაინც დამოუკიდებლად. იყო დრო, როცა მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული ზურაბ აზმაიფარაშვილთან, 2-3 შეკრებაც გავმართეთ. მაგრამ მის დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ფიდეში დიდი დატვირთვით მუშაობის გამო, რეგულარული მუშაობა აღარ გამოგვდის. წერდნენ, თითქოს ჩემი მწვრთნელი მიხაილ გურევიჩია, რაც არაა მართალი! ერთად გვნახეს, რამდენჯერმე გადაგვიღეს ფოტოსურათი და ასე დაწერეს. საკმარისია, რამდენიმე დიდოსტატთან ერთად მნახონ და მათაც ჩემს მწვრთნელებად ასახელებენ. ჩემი აზრით, მათი ნაწილიც რომ დამხმარებოდა, ვისაც ჩემს მწვრთნელებებად ასახელებენ, უფრო უკეთ ვითამაშებდი. მახსოვს, ლეკომ ერთხელ თქვა და დაწერა კიდეც, რომ ჩემთან კასპაროვი მუშაობს. მართლაც ძალიან კარგი იქნებოდა!

**– ზოგჯერ „ნატურშპილერს“ გიწოდებენ.**

– არ მინდა ვთქვა, თითქოს ყველაფერს ისე იოლად ვწვდები, ადვილად და დაუძაბავად ვწყვეტ. ძალიან ბევრი მუშაობა მიხდება. ზოგი ამბობს, რომ მე წმინდა წყლის ტაქტიკის ვარ, მაგრამ ეს ასე არ არის. მე მსიამოვნებს, როცა ღრმა პოზიციურ ჭადრაკს ვთამაშობ. ყველაზე კარგი კი ის არის, როცა ლამაზ ტაქტიკას მკაცრ პოზიციურ ჩარჩოში ვაქცევ.

მე არ ვზარმაცობ, თუმცა, არც საჭადრაკო რობოტი ვარ. ჭადრაკში მუშაობა მე კვლავინდებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**– განა შენი კლასის მოჭადრაკისთვის ასე ძნელია თანაშემწის მოძებნა?**

– დიახ, საკმაოდ ძნელია. ეს საკითხი დღემდე აქტუალურია. ახლა ძირითადად სხვების დაუხმარებლად ვმუშაობ და ჯერჯერობით არც ვჩივი.

**– ყოველდღე მუშაობ თუ ზოგჯერ პაუზებიც გაქვს?**

– ყველაფერი შემოქმედებით განწყობაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ვარჯიშს ძალიან დიდ დროს ვანდომებ, ხანდახან ვისვენებ კიდეც. არა მაქვს „ნორმირებული სამუშაო დღე“ – როგორც წესი, კვირაში სამ დღეს ჭადრაკს არც კი ვეკარები. თუმცა ახლა ჭადრაკი მისადმი მეტ ყურადღებას მოითხოვს. თუმცა, როგორც ყოველთვის, არის ბევრი „მაგრამ“... მე მინდა დავიჯერო, რომ კასპაროვი, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე ჭადრაკს არ თამაშობს, მაინც ინარჩუნებს ძალას, და, ასე ვთქვათ, კასპაროვად რჩება. თუმცა მასაც კი, ასეთი გამოცდილებისა და ცოდნის ადამიანს, მაინც სჭირდება თავის მზადყოფნაზე ზრუნვა.

**– თავისუფალ დროს რას აკეთებ, როგორ ისვენებ?**

– ზღვისპირას ვცხოვრობ. ამით ყველაფერია ნათქვამი. მიყვარს დიდი და მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთის თამაში, ზოგჯერ ქალაქში გასეირნებაც.

**– ზღვის სანაპიროზე რომ სეირნობ, გამვლელ-გამოვლელები გცნობენ?**

– უკვე დიდი ხანია, 5 წელი მაინც გავიდა. ეს მას შემდეგ ხდება, რაც პირველი წარმატებები მოვიპოვე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ჭაბუკთა შორის, მაშინ, როცა მოსკოვის გრან-პრის ტურნირში კასპაროვს შევხვდი. როცა კასპაროვს ლინარესში მოვუგე, ეს მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანომ აღნიშნა, ტელევიზიით კი სპეციალური გადაცემაც მოეწყო.

**– სტერეოტიპი, რომ ბაქო კასპაროვის ქალაქია, შეიცვალა მას შემდეგ, რაც თეიმურ რაჯაბოვი დაწინაურდა?**

– ადამიანები ხშირად გვადარებენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანისთვის მეტად მძიმე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის შემდეგ ადამიანების მენტალიტეტი შეიცვალა. ბაქოში ადრე ყველა კასპაროვის გულშემატკივარი იყო, მაგრამ ახლა გარი ხომ რუსეთის წარმომადგენელია...

**– რით აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ წლებში თქვენთან ამდენი ნიჭიერი ჭაბუკი გამოჩნდა? მამედიაროვი, ჰუსეინოვი, გაშიმოვი...**

– ჩვენ ყოველთვის გვყავდა ნიჭიერი ყმაწვილები. უბრალოდ, ფართო საზოგადოებრიობა მათ არ იცნობდა. ახლა ჭაბუკებმა დაიწყეს ტურნირების მოგება, მათ წარმატებებს ყველა აღნიშნავს. მახსოვს, ერთხელ მე, გაშიმოვმა და ჰუსეინოვმა ევროპის ჩემპიონატში ჭაბუკებს შორის პირველი სამი ადგილი დავიკავეთ. მე მათ ცოტათი ვუსწრებდი, მაგრამ ეს არსს არ ცვლიდა. – ჩვენს შორის ყოველთვის მკაცრი კონკურენცია იყო. ისე კი, ცხოვრებაში ჩვენ ვმეგობრობთ. ახლა აზერბაიჯანის ოლიმპიური ნაკრების საერთო ასაკი 17 წელია. ასეთი რამ არსად გვხვდება. გარდა ამისა, იგრძნობა მთავრობის დიდი ზრუნვა სპორტსმენების მიმართ. ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ილხამ ალიევი ამავე დროს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელია. მან ბევრი გააკეთა აზერბაიჯანში სპორტის და, კერძოდ, ჭადრაკის განვითარებისათვის.

**– თქვენ მას პირადად იცნობთ, ურთიერთობა გქონდათ?**

– სანამ ილხამი პრეზიდენტი გახდებოდა, ურთიერთობა გვქონდა. მას აინტერესებდა როგორ ვცხოვრობდი, ჩემი წარმატებები, მომავლის გეგმები. ყველა ჩვენგანს, ჭაბუკებს მორალურად და მატერიალურად გვეხმარებოდა.

**– როგორია თქვენი გეგმები 2004 წლისთვის?**

– მინდა ვითამაშო, ვიმეცადინო, წარმატებები მქონდეს. ასე ვიყავი განწყობილი ყოველთვის. რაც შეეხება სამუშაოს, მას რა გამოლევს!

მოამზადა
**გივი თორელმა.**

**რაჯაბოვი-შიროვი.**

**ლინარესი 2004 წელი.**



**30.♘d6 ♖xa4 31.♘xc8 ♘c6 32.♖c1 ♘d4 33.♘e7+ □g5 34.♘c6 gxf3 35.♘xd4 exd4 36.gxf3 □xa2 37.□e2 □c4+ 38.□f2 □f4 39.♖xd4 ♖a2+ 40.□e1 □b5 41.e5+ □xe5 42.♖d2 ♖xd2 43.□xd2 □f4 44.♖c3 a5 45.□e1 a4 46.□f2 □d7 47.♖c4+ □g5 48.♖d4 □e8 49.♖d5+ f5 50.□g3 h4+ 51.□f2 □f7 52.♖a5 □b3 53.□e3 □c2 54.h3 □b3 55.f4+ □f6 56.□d4 □c2 57.♖a6+ □g7 58.□e5 □f7 59.♖a7+ □g6 60.□e6 □b3+ 61.□e7 □g7 62.♖a5 □c2 63.♖c5 □e4 64.♖c1 □d5 65.♖g1+ □h6 66.□f6 a3 67.♖g6+ □h7 68.♖g7+ □h6 69.♖a7 a2 70.□xf5 □c4 71.□f6 □b3 72.f5 □c4 73.♖a4 □h7 74.□g5 □g7 75.♖a7+ □f7 76.f6+ □g8 77.□xh4 □e6 78.□g3 1—0.**

## ჭადრაკის ტრფიალნი

# კაცი, რომელიც ცხოვრების გამოკვეთებას ელის

(მერვე გვერდიდან)

წაიყვანა პარტია და იოლად გავიმარჯვე – ფაქტობრივად, ნაწყალობევი ქულით გავედი. ფინალი ოთხმა მონაწილემ ორ წრედ გავითამაშეთ; ეტყობა, ამასობაში გამოვფხიზლდი, ყველა პარტია მოვიგე და პირველი ადგილიც დამრჩა. 1977 წელი იდგა და იმ დროისათვის ყველა 12 მსოფლიო ჩემპიონის ხელმოწერილი საჭადრაკო დაფა მერგო ჯილდოდ, ახლაც ვინახავ.

**– დიდოსტატებს თუ შეხვედრიხარ სეანსებში?**

– სეანსებშიც შევხვედრივარ და.. ერთი ერთზეც. მოსკოვში ყოფნისას იმ სახლში, სადაც ბინას ვქირაობდი, ჩემს ქვემოთ ბრონშტეინი ცხოვრობდა და ერთმანეთს ზოგჯერ ვხედავდით... 1981-სა თუ 82-ში თბილისს სტუმრობდა, ჩვენთანაც მოვიდა, ინსტიტუტში და ერთსაათიანი ლექცია წაიკითხა. ლექციის შემდეგ უთხრეს – ჩვენთან ძლიერი მოჭადრაკეები არიან, სეანსი არ გვინდა, ბლიც-ტურნირი მოვაწყოთო. 15 მამაკაცი და ერთი ქალი შევიკრიბეთ, ციცინო კახაბრიშვილი, საქართველოს მაშინდელი ჩემპიონი ქალთა შორის. „ბრონმა“ ორი ყაიმით გაიმარჯვა (ერთი ჩვენს დირექტორთან, განსვენებულ ბატონ დავით კვესელავასთან გააკეთა, მეორე – ციცინოსთან). მე აქაც მეხუთე ადგილზე გავედი. ბრონშტეინთან, შავებით, უფიმცევის დაცვა ავირჩიე და უკვე 10 სვლის მერე უარეს პოზიციაში ვიჯექი. „ხელგაუნძრევლად“ წავაგე. მერე მოხდა ისე, რომ ინსტიტუტიდან ერთად წამოვედით ფეხით. გზაში მითხრა, ნაცნობი სახე რაკი გქონდა, შენთან განსაკუთრებულად მოვინდომეო...


სიმონ რაზმაძე.

**– შენი აზრით, რა შეიძინა და რა დაკარგა ჭადრაკმა სადღეისოდ?**

– თანამედროვე ჭადრაკს ვერ მივსდევ, მაგრამ ვიტყვი: კომპიუტერის ძალა რომ გაუთანაბრდა მოჭადრაკისას, თითქოს მიმზიდველობა დაეკარგა, მაგრამ ეს, ალბათ, დროებითია: ცოცხალ თამაშს, ცოცხალ ურთიერთობას სულ სხვა ეშხი ახლავს... ველოდები ჩემი ცხოვრების გამოკეთებას, ეგებ საკუთარი რეჟიმი, ყოფის რიტმი ისე ავაწყო, რომ სისტემატურად მქონდეს ადამიანებთან თამაშის საშუალება, თორემ კომპიუტერს ახლაც ვეთამაშები. ინტერნეტში იმ ადგილას შევდივარ, სადაც მოჭადრაკეები შეკრებილან, რომელთაც აგრეთვე ჩართული აქვთ კომპიუტერები და რომლებიც ასევე შემოსული არიან ინტერნეტში. შემიძლია მათ თამაშს ვუყურო, ან სათამაშოდ გამოვიწვიო და თუ დამთანხმდებიან, ვიწყებთ პარტიას. ასე „მოვიარე“ ავსტრალია, აშშ, ისრაელი, საბერძნეთი. სხვათა შორის, ერთხანს, სანამ უფასო იყო, ნარდსაც ვთამაშობდი. აქაც არის ელოს კოეფიციენტი, სამიოდ თვეში მსოფლიოში მე-12 ნომერი გავხდი. მერე ფასიანი გახდა...

**– შვილებმა არ „გაიხედეს“ ჭადრაკისკენ?**

– არც ვაჟი, არც ქალიშვილი არ დაინტერესდნენ, თუმცა ორივე ერთობ გონიერია და ასე მგონია, მოერგებოდნენ ჭადრაკს. მათი გონება კომპიუტერს ხმარდება, გამორჩეულად – თორნიკესი. მარიამი პრეზიდენტის სტიპენდიატი გახლდათ, ერთი წლით აშშ-ში, ატლანტაში გაუშვეს, მაგრამ ვერ გაჩერდა, 4 თვით ადრე ჩამოვიდა.

... ბოლო „შეტყობინებაც“ ხომ საყურადღებოა – ბევრი რომ თავს იკლავს ოკეანის იქით მოსახვედრად და მერე „ატლანტიკადალეულობით“ იჭერს „ბრექს“, მარიამ რაზმაძეს, თურმე, ვერ გაუძლია მიწისა და ახლობლების ყივილისათვის და გამოქცევია ამერიკულ სამოთხეს...

**თამაზ ებანოიძე.**

## გუშინ

# ჭადრაკის სამშობლოში ითამაშებენ

20 წლის მოჭადრაკეთა პაექრობა ამ ასაკში მსოფლიო პირველობის საგზურისთვის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 60-მდე წარმომადგენელი ერთმანეთს ებრძოდა თითო საგზურისთვის მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ინდოეთის ქალაქ კალკუტაში ნოემბრის ბოლოსთვის არის დანიშნული.

სულ გაიმართა 9 ტური. მონაწილეები, შეიძლება ითქვას, უკომპრომისოდ იბრძოდნენ. გოგონათა შორის, მაგალითად, ხუთი ტურის შემდეგ სამი მოჭადრაკე ლიდერობდა, ბიჭებში კი 6 ტურის შემდეგ სულაც 10 მონაწილეს ჰქონდა თანაბარი ქულები.

ფინიშზე დაძაბულობამ პიკს მიაღწია და გამარჯვებულნიც გამოვლინდნენ: კალკუტაში გასამგზავრებელი საგზურები მოიპოვეს ბათუმელმა მირანდა მიქაძემ და მალხაზ სულაშვილმა (თბილისი).

მირანდამ, ისევე როგორც მისმა თანაქალაქელმა ნინო ბაციაშვილმა და თბილისელმა თამარ წერეთელმა, 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს.

მალხაზ სულაშვილის მონაგარია 7 ქულა. ამდენივე ქულა აქვს გიგა ყუფარაძეს (თერჯოლა). მესამე ადგილზეა გორელი დავით მაღალაშვილი – 6,5 ქულა.

**ანდრო ბაქრაძე.**


მირანდა მიქაძე.


მალხაზ სულაშვილი.

გამოცება

# ჟამთაღმწერელთა ახალი კრებული




შესანიშნავ ტრადიციად დამკვიდრდა განვლილი წლის საქართველოში საჭადრაკო მომავალ თაობაზე საინფორმაციო კრებულის გამოცემა. სწორედ ასეთია კომპოზიციის დიდოსტატის დავით გურგენიძისა და ოსტატ გიორგი მაჭარაშვილის „ქართული ჭადრაკი-2003“, რომელიც ამას წინათ დაისტამბა.

64-გვერდიანი კრებულის გარეკანი გაზაფხულის ღია ხასხასა მწვანე ფერისაა. იგი, როგორც ყველა სამი – 2000, 2001, 2002 წლების წიგნი, უხვადაა ილუსტრირებული, რაც მას ეშხსა და ლაზათს ჰმატებს.

ეს ინფორმაციული № 4 კრებული ამჯერადაც მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს საქართველოს 2003 წლის საჭადრაკო ცხოვრებიდან. იგი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ჭადრაკის მომავალ მკვლევარ-ისტორიკოსებს.

საგულდაგულოდ მოძიებული მასალები კრებულში განაწილებულია სათანადო რუბრიკებში, როგორიც არის: – „ვულოცავთ“, „საქართველოს“, მოჭადრაკეთა რეიტინგები“, „საქართველოს ჩემპიონები“, „ტურნირები“, „ის ურჩევნია მამულსა“, „იმედი ხვალის“, „ქართველ მოჭადრაკეთა შემოქმედება“ და სხვ. მათში თავმოყრილია ყველა დიდი და პატარა მოვლენა, მიღწევები, აღიარება. ეს ყველაფერი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს გამარჯვებულთა ფოტოების ფონზე. ამ ერთგვარ ფოტოგამოფენაში მკითხველი ეცნობა ჩვენს წარჩინებულ მოჭადრაკეებს, ნიჭიერ საჭადრაკო ჯეჯილს.

რა თქმა უნდა, კრებულის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა ქართველი დიდოსტატებისა და ნორჩი მოჭადრაკეების შემოქმედების წარმოჩენა, მაგალითების მოყვანა. პარტიები დიდი რუდუნებითაა შერჩეული, ამიტომაც მათში მოიძიება ლამაზი კომბინაციები, მახვილი საჭადრაკო აზრი, სადებიუტო სიახლენი და სხვ.

კრებულში არ არიან დავიწყებული 2003 წელს ჩვენგან წასული ამაგდარი მწვრთნელ-მასწავლებლები: გიორგი კაზარიანი, ბაგრატ გვენცაძე, არჩილ წერეთელი და საერთაშორისო არბიტრი გიორგი ფამილიანტი.

მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს დავით გურგენიძისა და გიორგი მაჭარაშვილის მონდომება, საქმისადმი მამულიშვილური მიდგომა.

და მაინც, ჩემი აზრით, არის მცირე ხარვეზები. მაგალითად, გუნდების ფოტოებში ყველგან არ არის მითითებული რომელ ქალაქსა და რაიონს მიეკუთვნებიან ნორჩი მოჭადრაკეები. სასურველი იყო იმის აღნიშვნასთან ერთად, რომ 2003 წელს „ლაზიერის“ თერთმეტი ნომერი გამოვიდა, ყოფილიყო დასახელებული რამდენიმე საინტერესო წერილი თუ გამოკვლევა, რაც მკითხველს უთუოდ დააინტერესებდა.

და ბოლოს. XX საუკუნემდე ქართულ ჭადრაკს არ ჰყავდა მემატიანე. ამიტომაც ჩვენამდე ვერ მოაღწია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული ჭადრაკის მრავალმა ამბავმა. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია, თანამედროვე ჟამთაღმწერლების „ქართული ჭადრაკი – 2003“-ის ავტორ-შემდგენლების შრომა-გარჯა.

**თენგიზ გიორგაძე.**

საგზურებისთვის

# პირველობა — ვადამდე

საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა 16 წლის მოჭადრაკეთა პირველობაში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. ეს შეჯიბრება, რომელიც იმავდროულად მსოფლიო და ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირიც იყო, ჩინებულად განვლეს თელავის IV საშუალო სკოლის მეათეკლასელმა **ბელა ხოტენაშვილმა** (მწვრთნელი **გოგი მაჭარაშვილი**), და თბილისის 162-ე სკოლის მეცხრეკლასელმა **თორნიკე სანიკიძემ** (მწვრთნელი **ვალიკო ურიდია**), რომლებმაც ჩემპიონობა ერთი ტურით ადრე მოიპოვეს.

ბელა ხოტენაშვილს, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულით დაიკავა პირველი ადგილი, 1,5-1,5 ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, II-IV ადგილები გაიყვეს ქრისტინე მჟავიამ (ლანჩხუთი), თბილისელებმა – თეონა მესხმა და ნაზი პაიკიძემ.

ვაჟებში 8,5 ქულა მოაგროვა თორნიკე სანიკიძემ. 7-7 ქულა აღმოაჩნდათ ქუთაისელ დავით ბენიძეს, თბილისელ გიორგი მარგველაშვილს და ვაჟთა ტურნირის მონაწილე ერთადერთ გოგონას – დედაქალაქელ სოფიკო გურამიშვილს, რომელსაც უარესი კოეფიციენტით IV ადგილი ერგო. მეორე-მესამე ადგილები ბენიძემ და მარგველაშვილმა გაინაწილეს.

ამრიგად, ხოტენაშვილი და სანიკიძე მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ, მჟავია და ბენიძე ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

**ლექსო ცინცაძე.**



ბელა ხოტენაშვილი.



თორნიკე სანიკიძე.

კომპოზიცია

# ბრილიანტის ნამსხვრევები

**„მშვენიერი არ გახდება მნიშვნელოვანი, ვიდრე იგი სანახაობიდან არ გადაიქცევა გონების საზრდოდ“**

**თაგორი.**

1895 წელს ერთ-ერთ საჭადრაკო გამოცემაში დაისტამბა ეტიუდი, რომელმაც, როგორც ჭადრაკის მოყვარულთა, ასევე პროფესიონალ მოჭადრაკეთა დიდი აღტაცება გამოიწვია. ნაწარმოები მართლაც უნიკალური გახლდათ, როგორც ფორმით, ასევე უჩვეულო შინაარსით. ამ ეტიუდში (იხ. დიაგრამა № 1) ერთადერთი თეთრი პაიკი წარმატებას აღწევს შავი ეტლის წინააღმდეგ. ნაწარმოებმა მსოფლიო საჭადრაკო პრესა შემოიარა და საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა. ეტიუდმა დიდი ინტერესი გამოიწვია, აგრეთვე, საჭადრაკო კომპოზიტორთა შორის. მრავალი ეტიუდისტი შეეცადა აქ წარმოდგენილი იდეის გამდიდრებას ამა თუ იმ საეტიუდო ნიუანსით.

დღევანდელ პუბლიკაციაში შევეცდებით, ვაჩვენოთ რამდენიმე საინტერესო ინტერპრეტაცია ამ იდეასთან დაკავშირებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნაწარმოები საეტიუდო აზროვნების მოდელად იქცა. გავეცნოთ ამ მეტად უნიკალური ეტიუდის გადაწყვეტას.

**1.c7 ♖d6+ 2.□b5 ♖d5+**
**3.□b4 ♖d4+ 4.□b3 ♖d3+**
**5.□c2 ♖d4 6.c8♖ ♖a4**
**7.□b3** ორმაგი მუქარით.

აღნიშნულ იდეას კომბინაციური გადაწყვეტა მოუძებნა უნგრელმა კომპოზიტორმა. (იხ. დიაგრამა № 2).

**1.□d5 ♖d8 2.♘d4 ♖xd5**
**3.c7 ♖xd4+ 4.□c3 ♖d1**
**5.□c2 ♖d4 6.c8♖ ♖a4**
**7.□b3** უკვე ნაცნობი ფინალით.

გამოჩენილმა რუსმა ეტიუდისტმა მ. ლიბურკინმა სააველრას ეტიუდში გატარებული იდეა კიდევ ერთი საინტერესო მსუბუქი გაცოცხლებით გაამდიდრა.

**1.♘c1 ♖xb5 2.c7 ♖d5+**
**3.♘d3 ♖xd3+ 4.□c2 ♖d4**
**5.c8♖ ♖a4 6.□b3**
**1...♖d5+ 2.□c2 ♖c5+**
**3.□d3 ♖xb5 4.c7 ♖b8**
**5.cxb8□** თეთრები იგებენ.

დაბოლოს, გთავაზობთ ამ იდეის ერთ-ერთ ბოლო ინტერპრეტაციას ამ სტატიის ავტორის „შესრულებით“.

**1.□h1+ □xh1 2.□xa2 ♖a3+**
**3.□g4 ♖a4+ 4.□g5 ♖a5+**
**5.□g6 ♖a6+ 6.□e6 ♖xe6+**
**7.□g5 ♖e5+ 8.□g4 ♖e4+**
**9.□g3 ♖e3+ 10.□f2 ♖e4**
**11.f8♖** და სააველრას ფინალი.

თეთრებმა სისტემატური მოძრაობის ფონზე ორჯერ შეასრულეს „დაბრუნების“ თემა – ერთხელ თეთრი კუს მეშვეობით, მეორედ თეთრი მეფით, ხოლო შემდეგ შესრულდა სააველრას „გაცოცხლება“. ალბათ, მომავალშიც საინტერესო ნიუანსებით გაამდიდრებენ სააველრას იდეას ახალი თაობის ეტიუდისტები.

**ველიმირ კალანდაძე.**

ფ. სააველრა, 1895 წ.



თეთრები იგებენ

ვ. ბაკაი, 1953 წ.



თეთრები იგებენ

მ. ლიბურკინი, 1931 წ.



თეთრები იგებენ

ვ. კალანდაძე, 1999 წ.



თეთრები იგებენ

ლაზიერი
GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), კახი ჩიგოგიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ნინო გურიელი, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

## დეპუტატებს — განსასჯელად

# ნუ დაავნგრევთ იმას, რაც ქვეყანას სჭირდება

**საქართველოში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს. ცხადია, სხვა პრობლემებთან ერთად, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს მეცნიერული პოტენციალის სწორად გამოყენების საკითხს — სამეცნიერო პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევის, მეცნიერების დაფინანსების და შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის საკითხს. ალბათ ამ მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ შეადგინა პროექტი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“.** გაუგებარია ეს პროექტი ფინანსთა სამინისტრომ რატომ მოამზადა მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობის გარეშე, როცა არსებული კანონით მეცნიერებათა აკადემია მიჩნეულია სახელმწიფოს მრჩევლად ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი პროექტის შემუშავების პროცესში. ფინანსთა სამინისტროს პროექტით გათვალისწინებულია აკადემიური ინსტიტუტების, მუზეუმებისა და ყველა დაქვემდებარებული ობიექტის გადაცემა დარგობრივ სამინისტროებზე. ამასთან, ჩაფიქრებულია ამ ღონისძიების ერთ ეტაპად განხორციელება. მოწოდებული პროექტით რეფორმის ჩატარება საქართველოს დღევანდელ პირობებში, როდესაც სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების მომხმარებელი — ქვეყნის მსხვილი და საშუალო საწარმოების დიდი ნაწილი გაჩერებულია, ყოვლად დაუშვებელი და დამანგრეველია ისეთი მეცნიერებებისათვის, როგორიცაა: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, ავტომატიკა, მანქანათმშენებლობა, გეოლოგია, მეტალურგია და სხვა.

ქვეყანა, რომელიც საკუთარი ენერგომატარებლებით (ბუნებრივი აირი, ნავთობი) ღარიბია, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის გაუმჯობესებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე. ეს კი შესაძლებელია მეცნიერების აქტიური მონაწილეობით. მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მეცნიერება ეკონომიკის სრულფასოვანი კომპონენტია და, ამასთან ერთად, იგი უშუალოდ მოქმედებს საზოგადოების სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების დონეზე.

თუ მეცნიერების რეორგანიზაცია დასავლური მოდელების მიხედვით გვინდა განვახორციელოთ, მაშინ ასეთი ქვეყნების მდგომარეობა სრულყოფილად უნდა გავაანალიზოთ. პირველ რიგში ის, რომ მოწინავე ქვეყნებში მძლავრი კომპანიები და მათი საწარმოები დაინტერესებული არიან მეცნიერული კვლევებით უზრუნველყონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და ამის გამო, მეცნიერებას მნიშვნელოვნად აფინანსებენ. საბჭოურ მრეწველობასაც კი ჰქონდა სამეცნიერო-ტექნიკური პროფილის სამუშაოების დაფინანსებისთვის გათვალისწინებული თანხები, რომლებიც ემატებოდა ბიუჯეტურ დაფინანსებას. ასეთი დამანატი ხელფასის ფონდის 20-40 პროცენტს შეადგენდა.

მივუბრუნდეთ შედარებით ანალიზს: ყოველ 1000 მომუშავეზე იაპონიაში მეცნიერებით დაკავებულია 9 კაცი, აშშ-ში — 7, ევროგაერთიანების ქვეყნებში — 5 (ჟურნალი „„„ევროპა“, 2001 წ. № 4). ისეთი ქვეყნები, რომლებშიც ეს ციფრი 2-ზე დაბალია — ტექნიკურად ჩამორჩენილთა რიცხვში შედიან. მათ შორისაა საქართველოც. ბოლო 10 წელიწადში საქართველოში მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვი 3-ჯერ შემცირდა. რაც შეეხება დაფინანსებას, საქართველოში მეცნიერებაზე ქვეყნის ბიუჯეტის ერთ პროცენტზე ოდნავ მეტი, მეზობელ აზერბაიჯანში — 2 პროცენტზე მეტი, ხოლო რუსეთში — ბიუჯეტის 4 პროცენტზე მეტი იხარჯება. ამ ქვეყნებში ბიუჯეტიც დიდია და მეცნიერებაზე გაღებული ხარჯებიც მაღალია. საქართველოში კი, მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა ხელფასი 60 ლარზე ნაკლებია თვეში, თანაც სამეცნიერო კვლევებისთვის სამეურნეო ხარჯები ინსტიტუტების ბიუჯეტის 9 პროცენტს შეადგენს, რაც გაუსაძლის პირობებში აყენებს მეცნიერ-მუშაკებს.

მეცნიერება თავისი სპეციფიკის გამო, საზოგადოების ფართო წრეებისათვის ნაკლებად პოპულარულია. ამ დარგის შედეგების შეფასება, განსხვავებით ხელოვნებაში, სპორტში ან სხვა დარგებში მიღწევებისაგან, ძნელი აღსაქმელია. მეცნიერება ქვეყნის ხელმძღვანელობისგან ყოველმხრივ მხარდაჭერასა და აღიარებას მოითხოვს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი ინსტიტუტებით ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყანაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და სხვა დარგების განვითარების საქმეში; მუდამ იყო ერის სულიერი შესაძლებლობების საგანძური. სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურების დავალებით ასრულებდა სამუშაოებს, რომლებიც ეხებოდა მსხვილი სამრეწველო ობიექტების გაშვებასა და ფუნქციონირებას; ქვეყნის სეისმურ დაცვას; საინფორმაციო საშუალებების განვითარებას; კაშხალებისა და წყალსაცავების მშენებლობას; მიწისქვეშა მილგაყვანილობების შესაძლებლობების დადგენასა და ექსპლუატაციას; წიაღისეულიდან ძვირადღირებული პროდუქტების მიღებას; სასმელი და ჩამდინარე წყლების გაწმენდას; სოფლის მეურნეობის ნარგავებისა და ტყეების პარაზიტებისგან დაცვას; ადგილობრივი ნავთობიდან ძვირადღირებული პროდუქტების მიღებას; ტოქსიკური ნივთიერებებისგან საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას; ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ობიექტების ამუშავებას; ბუნებრივი მცენარეული რესურსებიდან ეფექტური სამკურნალო პრეპარატების შექმნასა და წარმოებას; მაღალხარისხოვანი ლითონნაკეთობებისა და მასალების მიღებას; ახალი, კოროზია, ცვეთა და ტემპერატურამედეგი, მათ შორის საჯავშნე მასალების მიღებას; ელექტროტექნიკური დანიშნულების დეტალებისათვის ლითონური ფხვნილების წარმოებას; ბუნებრივი ცეოლითების ადსორბენტებად და კატალიზატორებად, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში გამოყენებას; ახალი პოლიმერული მასალების მიღებას; ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზს; დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების დამუშავებას; საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეცხოველეობის განვითარების მეცნიერული საფუძვლების დამუშავებას; ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებისთვის მცენარეებით განაშენიანების შერჩევა-დასაბუთებას; კონფლიქტების მოგვარების ფსიქოლოგიური ბუნების გახსნას; სხვადასხვა ატლასების, რუკების, მრავალენოვანი ლექსიკონების შედგენას და მრავალი სხვა. ამასთანავე, მეცნიერებათა აკადემიის შრომები ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფარმაკოქიმიის, გეოლოგიის, არქეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ლინგვისტიკისა და მედიცინის დარგში საერთაშორისო აღიარებას ჰპოვებენ. ინსტიტუტების წამყვან მეცნიერთა შრომები შეტანილია სხვადასხვა ქვეყნის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში, ცნობილ უცხოურ ჟურნალებში. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მიერ ამ შრომების გამოყენების მაჩვენებელი (ციტირების ინდექსი) ძალზე მაღალია და მერყეობს 100/500-ის ფარგლებში ერთ მეცნიერ-თანამშრომელზე.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შენარჩუნება ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ხალხისათვის სისხლხორცეულ და საშვილიშვილო საქმეს უნდა წარმოადგენდეს. ამიტომაც, მთავარი ამოცანაა ამ სამეცნიერო პოტენციალის სწორი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისა და სულიერი აღმავლობისათვის. სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა იყოს მხარი დაუჭიროს მეცნიერების განვითარებას, არსებული აღიარებული სკოლების შენარჩუნებას.

მეცნიერული კვლევის შედეგების წარმოებაში ჩანერგვის პერიოდი ხშირად წინასწარ ძნელი განსასაზღვრია. მაგალითად, როდესაც ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა — ომმა დენის ძალას, ძაბვასა და გამტარის წინააღმდეგობას შორის ურთიერთდამოკიდებულების კანონი აღმოაჩინა, მას ეჭვი ეპარებოდა, რომ ოდესმე ეს კანონი პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებდა. არადა, ამ კანონის გამოყენება მილიარდ დოლარზე მეტ ეკონომიკურ ეფექტს აძლევს მსოფლიოს ყოველდღიურად, ამიტომაც შეუძლებელია მეცნიერების განვითარებას ხელი შეუწყოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილმა პროექტმა, რომლის მიხედვით დაფინანსდებიან მხოლოდ ისეთი სამეცნიერო მიმართულებები, რომელთა ყოველწლიური პრაქტიკული შედეგიანობა წინასწარ შეიძლება განვსაზღვროთ.

მეცნიერებათა აკადემიების არსებულმა სისტემამ მრავალ ქვეყანაში საუკუნეების გამოცდას გაუძლო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების საქმეში. აკადემიის სისტემა ცოცხალი ორგანიზმია და მისი დანაწევრება ყოვლად დაუშვებელია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კარგა ხანია სცნობს ჩვენი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან აკადემიის სამეცნიერო პრიორიტეტების უფრო მეტად დაახლოების აუცილებლობას. ეს პროცესი დაწყებულია და მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს აკადემიის სისტემის რეფორმას. რეფორმა უნდა განხორციელდეს მთავრობისა და აკადემიის შეთანხმებული გეგმის მიხედვით, გამჭვირვალედ. რეფორმა უსათუოდ უნდა ჩატარდეს ორი ძირითადი პირობის დაცვით: აკადემიის მთლიანი სისტემის ავტონომიურობა და პროცესის ეტაპობრიობა. ერთჯერადი აქტის სახით მეცნიერების რეორგანიზაცია ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელია.

მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაცია სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებისა და უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით 5-6 წელს უნდა მოიცავდეს. ფინანსთა სამინისტროს პროექტით გათვალისწინებული რეორგანიზაციის განხორციელება ერთ, ან ორ წელიწადში გამოიწვევს მეცნიერული სკოლების ნგრევას, მეცნიერული ტრადიციების, ასეულ მილიონებად ღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურებას, უმდიდრესი მეცნიერული პოტენციალის, სამეცნიერო ჩვევების შეუქცევადად დაკარგვას და ათასობით მომზადებული ადამიანის, ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დაუსაქმებლობას, მათ სულიერ და მატერიალურ გაღატაკებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთლიანი სისტემის ბიუჯეტური დაფინანსება 10 მლნ ლარს არ აღემატება წელიწადში. ნუთუ ასეთი თანხის გამო სახელმწიფო გადადგამს ასეთ ნაბიჯს?!

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება:**

**აკადემიკოსები გურამ გველესიანი, ჯონდო ჯაფარიძე, თეიმურაზ ანდრონიკაშვილი; ეთერ ქემერტელიძე, გივი ცინცაძე, გიორგი ციციშვილი, კოხტა ჯაფარიძე, ირაკლი ჟორდანია, წევრ-კორესპონდენტები ილია ბარათაშვილი, შოთა სამსონია, ვლადიმერ ციციშვილი, პროფესორები ავთანდილ დოლიძე, თამაზ ლეჟავა.**

## რჩევა



### ვის დავცინით, ბატონებო?

თითქმის ყველა კოლექტივში არის ერთი მომხიბვლელი, ენაკვიმატი ადამიანი, რომელსაც ნებისმიერი შემთხვევისათვის მზად აქვს ოდნავ სევდანარევი, მაგრამ მახვილგონივრული და ჭკვიანური ხუმრობა. ქცევის ასეთი სტილი ყველაზე ხშირად ახასიათებთ მორცხვ, გულჩვილ, ფაქიზი და მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანებს. მათი ხუმრობა თითქმის არასდროს არ იწვევს ირგვლივმყოფთა წყენას, რადგან ისინი, ძირითადად საკუთარ თავს დასცინიან ხოლმე. ფსიქოლოგები ასეთ დაცვას „აგრესორთა იდენტიფიკაციას“ უწოდებენ. ადამიანი არაქვეცნობიერად იწყებს სხვათა ამა თუ იმ ნიშანთვისებების კოპირებას, ზოგჯერ საკმაოდ გროტესკული სახითაც, რომლებისგანაც თვითონ ოდესღაც დაზარალებულა.

ასეთი უკიდურესი ვარიანტის მაგალითია ცნობილი კინომსახიობი ჯიმ კერი. თუ მის უამრავ ბიოგრაფს ვერწმუნებით, ბავშვობაში იგი სუსტი და მეტისმეტად გულჩვილი იყო. მეგობრები ხშირად აწვალებდნენ ხოლმე მას, ჯიმი ებმებოდა ჩხუბში, მაგრამ თითქმის ვერასდროს ვერ ახერხებდა საკუთარი თავის დაცვას. ჰოდა, ნელ-ნელა მან შესძლო ესწავლა თუ როგორ გამხდარიყო სასაცილო: უცნაურად დაემანჭა სახე, მოეწყო ნამდვილი კლოუნადა, რომელშიც მონაწილეობდა როგორც მისი სული, ისე სახე და სხეულიც... „შეხედეთ, როგორი სასაცილო ვარ-“ — ეუბნებოდა იგი ასეთი ქცევით ირგვლივმყოფთ. ბიჭუნამ მიაღწია სრულყოფას კლოუნის ხელოვნებაში, რამაც შეუწყო კიდეც ხელი მის კარიერას ჰოლივუდში.

იუმორის მეორე ვარიანტია მეფის მასხარის სიტუაცია. ზოგჯერ ენაკვიმატი ადამიანი უფროსობასთან ურთიერთობაში სწორედ ასეთ როლს ირჩევს ხოლმე. მასხარის ნიღაბი მას აძლევს საშუალებას თქვას მთელი სიმართლე მაშინ, როცა ყოველივე ამის პირდაპირ თქმა შეუძლებელია. მაგრამ, ფრთხილად იყავით: თქვენ მხოლოდ მაშინ გაგიგებენ და დაგაფასებენ, თუ თქვენი უფროსი თვითონ არის დაჯილდოებული იუმორის გრძნობით.

და ბოლოს, სიცილი ხშირად ხდება თავისებური დუელის იარაღი. ორი ადამიანის მიერ ერთმანეთის მისამართით გამოთქმული ხუმრობები, ერთმანეთის დაცინვა ისე, თითქოს სცენაზე იყვნენ — კოლეგების თვალწინ — ზედმეტი სიტყვების გარეშე, იმის საშუალებას იძლევა, რომ გავარკვიოთ, თუ ვინ გახდება ლიდერი კოლექტივში, ვისთვის კი მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი იქნება განკუთვნილი. ასეთ ვითარებაში საუკეთესო თანაშემწეა სულიერი ძალა, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს დასცინოს სხვებს და, რაც მთავარია, საკუთარ თავს. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარ თავს დასცინოს, დაუმარცხებელია.

### როგორ ავამოქმედოთ ჩვენი იუმორის გრძნობა

ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა. უფრო სწორად, მათ ეს გრძნობა მიძინებული აქვთ, და, შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა გავაღვიძოთ იგი და ასეთი გზით შევძლოთ უფრო ოპტიმალურად შევხედოთ ცხოვრებასა და სამყაროს. როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენ ასეთთა რიცხვს განვეკუთვნებით?

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 90-93.**

**ჟურნალი „ბლოროვიე“ №4.**
**(დასასრული იქნება).**

## განცხადება

**2004 წლის 7 მაისს, 12 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „გერგეზის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი**

**1. სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება.**
**2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა.**
**3. აუდიტორის არჩევა 2004 წლისათვის.**
**4. სხვადასხვა.**

**სს „გერგეზის“ ადმინისტრაცია.**
**მისამართი: ქ. სენაკის, გუთაუთის № 2.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 94, კვირა, 25 აპრილი, 2004 წელი.

## ხელოვნის კულტურა

# დამლოცვენ, მოვეგონები...

## გახსენებანი დიდი მოურავის ძეგლის დადგმის თაობაზე

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალბედა დირექტორი გახლდით, თვით მუზეუმიც ახალბედად ითქმოდა, სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ დაარსებული, რაიონის აქტივშიც ანუ ნამდვილქართულად რომ ვთქვათ, მეწინავეთა რიგებშიც ახალი ხელდასხმული ვიყავი. სწორედაც რომ იმ, მეწინავეთა თავშეკრებაზე, ანუ მაშინდელი გამოთქმით, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ვიყავი მიწვეული. სულ ბოლო რიგში ვიჯექი; როგორც გაუჩვეველი, იქიდან უფრო კარგად ვუთვალთვალებდი მთელ დარბაზსაც და პირშემოქცეულ პრეზიდიუმსაც, სადაც დაბრძანება, როგორც ახლა, მაშინაც დიდ პატივად ითვლებოდა, მედიდურად და სიამაყითაც რომ გადმოსცქეროდნენ დაბლა მსხდომთა, პრეზიდიუმში უმთავრესად ნომენკლატურის პირნი ისხდნენ, შიგადაშიგ გაერიათ რიგითი მეოფლენი, ესეც იმიტომ, რომ სათქმელად ჰქონოდათ: აჰა, ყველანი თანასწორნი ვართო, ხელმძღვანელებისა და ნამგალ-ჩაქუჩის კლასის წარმომადგენლებიცაო. სწორედ ეს მეოფლენი უფრო სთვლემდნენ, დაღლილ-დაქანცულები. „ხელმძღვანელი ამხანაგები“ კი თვალფხიზლობდნენ და ყურფხიზლობდნენ. ტრიბუნაზე შემართული მომხსენებლისკენ მიეღერბინათ თავი და სმენადქცეულნი მისჩერებოდნენ, გულისფანცქალით მოელოდნენ, როდის ახსენებდნენ მათს გვარს. ის ერთი ხსენება ათასობითა და ათიათასობით ფასობდა, რადგან ერთხელ კიდევ დადასტურდებოდა მათი მოწინავეობა, მაშასადამე, შეუვალნი იყვნენ, ახლა რომ იმუნიტეტს ეძახიან. კვლავ თამამად გააგრძელებდნენ თავიანთ მიზან-მიმართულ საქმიანობა-მოქმედება-მომხვეჭელობას. ბუზს ვერ აუფრენდნენ ვერც სამართალდამცავი ორგანოები, ჩუმჩუმად რომ სამართალდამრღვევებს ეძახიან და ვერც სხვა რევიზორ-შემმოწმებელნი, ერთნიც და მეორენიც რომ ისედაც პატივცემულნი ჰყავდათ, არც რომ ფულს აკლებდნენ და არც პურმარილსაც. ხან ეგრე ყურდახარბებულები შესციცინოდნენ მომხსენებელსა, იგივე რაიონის თავკაცსა, ხან, აკი ვთქვით, მედიდურად გადმოსცქეროდნენ დარბაზში მყოფთ.

მე კი დაფიქრებით ვუთვალთვალებდი მედიდურად გადმომცქერებსაც და დარბაზში მსხდომთაც. ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა თავში და პატარა ჩანახატებიც მებეჭდებოდა სამეხსიეროში.

მეწინავეთა თავშეკრების წამყვანმა, იგივე პირველმა კაცმა, მოხსენება ჩაათავა და ორიოდე მოკამათესაც მოუსმინა, კრების წინამძღოლობა მოადგილეს გადააბარა და იქაურობა მიატოვა.

ათიოდე წუთის მერე დარბაზში გულ-მკერდის ზანზარით შემოჩქარდა ათქვირებული გოგონა და იმ მეორე კაცს, ვინც კრება გადაიბარა, რაღაცა ჩასჩურჩულა ყურში. თავშეკრების წინამძღოლიც უმალ წამოიმართა ზეზე, ექვანს ჩამოარტყა თითები და ხმამაღლა ბრძანა:

„ხორგუაშვილო, გიორგევიჩი გეძახის!“

მერე ათი კაცი მაინც წამოყელყელავდა დარბაზში, ჩემსკენ მოიღერეს თავი და ერთი და იგივე კილოთი მომაძახეს:

„გიორგევიჩი გეძახის!“
„გიორგევიჩი გეძახის!“
„გიორგევიჩი გეძახის!“

დინჯად წამოვდექი და დარბაზიდან გავედი.

„გიორგევიჩი“, — იგივე ვლადიმერ გიორგის ძე ქერქაძე, რაიონის თავკაცი გახლდათ.

მოკრძალებით შევაღე კაბინეტის შავმუშამბიანი კარი.

სავარძლიდან წამოიმართა ზორბატანიანი, ათლეტური აღნაგობის თავკაცი. წინ წამოდგა რამოდენიმე ნაბიჯით. ხელის ჩამორთმევით მომესალმა, მომიკითხა და მაგიდას შემომსხდარი სტუმრები გამაცნო. ტელევიზიის თანამშრომლები ყოფილიყვნენ. ისის იყო თავკაცის გამოსვლა ჩაეწერათ და ქარხნებში გასასვლელად ემზადებოდნენ, ვიღაცა უნდა გაეყოლებინა, წუთიერად შეაყოვნა.

— თბილისში უნდა გაფრინდე! — ღიმილით მომმართა.

— სად, ვისთან, რაზე, პატივცემულო ვლადიმერ?!

— ხომ იცი, რომ მჟავანაძე აპირებს ჩამოსვლას?

— არა, არ ვიცი, როდის?

— ამ დღეებში. მე თვითონ ვთხოვე... ჩამოვიდეს, — თავისი თვალით ნახოს, რა დღეშია ეს თქვენი ჩანჩალა რაიონი, ყველაფერი რომ ინგრევა და არაფერი რო არა შენდება.

— კარგი იქნება, ჩვენს დანგრეულ მუზეუმსაც ვაჩვენებთ.

— მეიცა, მუზეუმი მერე... იმ დღეს რომ გიორგი სააკაძის ძეგლზე გვქონდა ლაპარაკი, არ დავძრათ ეს საკითხი?!. ურიგო იქნება?! — ოქროსვარაყიანი სათვალეების ზემოდან გადმომხედა და დიდრონი, ბრიალა თვალები მომანათა.

— ძალიან კარგი! — გამეხარდა.

სტუმრები ხან ერთს მოგვხედავდნენ, ხან მეორეს და ისინიც სიხარულს ვერა მალავდნენ, დროდადრო ჩაერეოდნენ ხოლმე საუბარში, გაშუქება ჩვენზე იყოსო.

— რამხელა გმირი იყო! — თავი გააქნია ვლადიმერ ქერქაძემ.

— რას ამბობთ!





— მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება!

— მააშ, მააშ!

— ძეგლის დადგმა, ხომ იცით, ეგრე ადვილი არ არის, პავლოვიჩი თუ არ მოვიხმარეთ... მომზადებული უნდა შევხვდეთ, გავიგოთ, რა ჯდება, ვინ გააკეთებს. ყველაფერი გავთვალოთ და ისე შევუდგეთ საქმეს! — სახეზე ღიმილი გადაითამაშა ბატონმა ვლადიმერმა.

მეც გამიბრწყინდა თვალები.

სტუმრებმაც აცეცეს თვალებიცა და ყურებიცა.

დიდი მოურავის ძეგლის დადგმის წადილი და მისწრაფება მის მშობლიურ მხარეში ადრევე გაჩნდა, უფრო ნიშანდობლივად, დიდი სამამულო ომის შემდეგ ეს სურვილი-ნატვრა ხალხის წიაღიდან წამოვიდა.

— ამხელა გმირი გვყავდა, მთელი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული, ამხელა საქმე გააკეთა საქართველოსთვის, და მისი ძეგლი არ უნდა გვედგას?! — ჩიოდნენ რიგითი მეოფლენიც და უოფლონიც, რომელთაც ათჯერაც რომ ენახათ კინოფილმი სააკაძეზე, მაინც დიდ სიამოვნებას განიცდიდნენ, ზოგს კი მასზე დაწერილი წიგნების კითხვაც არ მოსწყინდებოდა, დიდ მოურავზე შექმნილი და შემორჩენილი თითო-ოროლა ხალხური ლექსიც ზეპირად იცოდა და ზოგი თავადაც თხზავდა ახალს...

ყოველ ახალმოვლენილ თავკაცს უმალვე ჩაეთესებოდა გულში ძეგლის დადგმის მნატვრელ-მთხოვნელთა სიტყვა, სიამოვნებით შეპირდებოდნენ უფრო მაშინ, როცა გიორგი სააკაძის სადღეგრძელოს შესვამდნენ გამორჩეული სასმისით, მეტწილად დიდი ყანწითა.

დიახ, მტკიცედ შეპირდებოდნენ, მაგრამ მალე წაუქცევდნენ სიტყვასა, რადგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ მაღლა და მაღლა. დამზადების გეგმები ვერ შეგისრულებიათ, რა დროს სააკაძის ძეგლზე ლაპარაკიაო.

ჰო, მაღლა-მაღლა, დიადი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქამდე მიდიოდა ძეგლის დადგმის საკითხი, უფრო მართლად, იქიდან უნდა დაწყებულიყო. ეგრე იყო დაყენებული საქმე, მოსკოვის ნებადაურთველად „თავისუფალი ერთა მძლე კავშირი ძმურის“ უვრცეს სივრცეში ვერსად ვერ დაიდგმებოდა ძეგლი, მით უფრო მონუმენტური. ამისთვის საჭირო იყო საკავშირო ცეკასი და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება. საძეგლე მასალის — ბრინჯაოს ლიმიტიც იქიდანვე მოდიოდა, „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ — ვ. ი. ლენინის და მის მხარში მდგომთა მონუმენტურ ძეგლებს, გაგიხარიათ, ყველგან მწვანე შუქი ჰქონდა, არც უზარმაზარ თანხებს იშურებდნენ და არც ძვირადღირებულ მასალას, პირიქით, უფრო გამორჩეული ძეგლების ავტორებს ლენინურ პრემიასაც ანიჭებდნენ. ასევე თამამად დგამდნენ რუსი ეროვნული გმირების და მოღვაწეების მონუმენტებს, ხამუშ-ხამუშ ნებას რთავდნენ მოძმე რესპუბლიკების გმირების ძეგლებიც აეგოთ, რა თქმა უნდა, ისეთებისა, რომლებსაც თავიდანვე მოსკოვისკენ ჰქონდათ მზერა მიპყრობილი და რუსების გარეშე არსებობა ვერც კი წარმოედგინათ.

საქართველოდან ხომ ეროვნული გმირების ძეგლის დადგმის თაობაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა საქართველოს დაუძინებელ მტერს — ნიკიტა ხრუშჩოვს. ნიკიტუშკა-დურაჩოკს და მისნაირ ჭკუის კოლოფებს მარტო ეროვნული ძეგლები კი არა, თვალში ეჩხირებოდათ და ყელზე ადგებოდათ საქართველოს მუზეუმებიც, სადაც ეროვნული სული ტრიალებდა. რა ამბავია ამდენი მუზეუმი ამ პატარა რესპუბლიკაშიო, თურმე, 50-მილიონიან უკრაინაშიც არ არის ამდენი მუზეუმიო და შეუდგნენ მუზეუმების შემცირებას, მათ შორის საამისოდ განწირეს ჩვენი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც, სამიოდე წლის დაარსებული რომ იყო; — აგერ მეზობლად გორის და მცხეთის მუზეუმებია და უნდა შეველიოთო, წუხილით გვეუბნებოდნენ კულტურის სამინისტროს მესვეურნი, მოსკოვიდან ეგრე გვაქვს დავალებული და რა ვქნათო, რა გიყოთო, ისევ თქვენი მუზეუმი უნდა გამოიხშიროსო.

გული მეტკინა, დავრბოდი ხან კულტურის სამინისტროში, ხან მეცნიერებათა აკადემიაში, ხან უნივერსიტეტში, ხან მწერალთა კავშირში, ყველგან ვასაბუთებდი, ამ დიდი წარსულის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის რეგიონში, ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი სააკაძის მშობლიურ მხარეში აუცილებელია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არსებობა-შენარჩუნება-მეთქი. ისინიც მიდასტურებდნენ და სიტყვაც წამომაშველეს. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით გამოვედი რაიკომის გაფართოებულ პლენუმზე, რომელსაც, როგორც წესი, ცეკას წარმომადგენელიც ესწრებოდა.

იმდენი ვილაპარაკე ჩვენი მხარის ისტორიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომ რეგლამენტს კარგად გადავაჭარბე და არც გავუჩერებივარ, დროდადრო მივხედავდი ხოლმე პრეზიდიუმსა და ვამჩნევდი, რაიონის თავკაცი გაკვირვებით აქნევდა თავს, ცეკას წარმომადგენელსაც შუბლი შეეკრა, ამით გათამამებულმა — ნიკიტა ხრუშჩოვზე ავი სიტყვა ვთქვი.

— რას მოგვცემს ეგ სიტყვები?! — შემაჩერა რაიონის თავკაცმა, მის კილოში თანაგრძნობა ვიგრძენი. დარბაზიც მხიარულად შეიშმუშნა. ცეკას წარმომადგენელმაც მრავლისმეტყველად შეიკრა შუბლი.

მერე შევიტყვე, რომ ვლადიმერ ქერქაძე მტკიცე სტალინელი იყო და მუშაობის სტილშიც ბაძავდა მას. ნიკიტა ხრუშჩოვი კი არც იმას ეპრიანებოდა.

ამაზე ქვემოთ ვიტყვი.

მაშინ კი რაიონის თავკაცი შეგვპირდა, მუზეუმის გადარჩენაში ჩვენც მოგეხმარებოდითო და უფრო მეტიცო!..

მას შემდეგ ვლადიმერ ქერქაძე თანდათან დამიახლოვდა და არა მხოლოდ ძეგლების და სამუზეუმო საკითხებზე მეძახდა ხშირად, სხვა ღონისძიებების გამართვაშიც ჩამრევდა ხოლმე, ჩემს მიერ დაყენებულ პრობლემაზეც გულდასმით მისმენდა. და არა მარტო მისმენდა...

დიახ, რაიონში ახალი მოსული თავკაცი — ვლადიმერ ქერქაძე დიდად იყო მოწადინებული დაედგა დიდი მოურავის ძეგლი კასპში და დიდი დაბრკოლებაც ელოდა. ეს კარგად უწყოდა, მაგრამ მოსვლისთანავე შეეჭიდა ამ დიდ საქმეს.

რაკი ვლადიმერ ქერქაძის სახელთან არის დაკავშირებული დიდი მოურავის ძეგლის დადგმაც, მთელი ქალაქის აღმშენებლობაც, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დაარსებაც, დავით გურამიშვილის წყაროს აღდგენაც და ბევრი სხვა სიკეთე, საჭიროდ ვთვლი მოკლედ მოგითხროთ მისი, როგორც პიროვნების ავკარგიანობის შესახებ.

რაიონში მოსვლამდე საკმაოდ დიდრონ თანამდებობაზე გახლდათ ნამუშევარი, ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნობისთვისაც მიეღწია, მესხეთის — ახალციხის რაიონის თავკაციც ყოფილიყო. ბოლოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაეწინაურებინათ და დიდი, საქმიანი თუ საქმოსანი თავკაცთაგანის სახელიც დაეგდო. მაღალ ეშელონებშიც და დაბალშიც იცნობდნენ, როგორც მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყებსაც და დამაგვირგვინებელსაც, ალღოიანი, მედროვე, რისკიან, უშიშარ და შემტევ წინამძღოლს. აკი გიორგი ლეონიძემაც და ირაკლი აბაშიძემაც თქვეს, ვლადიმერ ქერქაძე შემტევი და მშენებელი მდივანიაო.

**გიორგი ხორგუაშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

## თარიღი

**მსოფლიო საზოგადოებრიობა უკვე მეოთხედ აღნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეს — 26 აპრილს.**

**ცნება — „ინტელექტუალური საკუთრება“ — ჯერ კიდევ ახლო წარსულში უცხო იყო როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე შემოქმედებითი ელიტის უმრავლესობისთვისაც. ამჟამად კი უკვე ბევრმა იცის, რომ ინტელექტუალური საკუთრება, ეს არის უფლებები მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში შემოქმედებითი საქმიანობის შედეგზე. გამოიკვეთა ინტელექტუალური საკუთრების როლი და მნიშვნელობა ახალი ტიპის ეკონომიკურ განვითარებაშიც, — სადაც მატერიალური კაპიტალი ადგილს ინტელექტუალურ კაპიტალს უთმობს.**

# შემოქმედებითი საქმიანობის წასახალისებლად

## 26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეა

26 აპრილი ყველა გამომგონებლის, მეცნიერის, შემოქმედებითი მოღვაწის, საინოვაციო და საპატენტო საქმიანობის სპეციალისტის საერთო დღესასწაულია. სწორედ მათი შრომით იქმნება და სამართლებრივად არის დაცული ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ფასეულობები. საქართველოს მომავალი კი დამოკიდებულია ჩვენი ხალხის სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებაზე, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანებას.

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე იმის კიდევ ერთ შესაძლებლობას იძლევა, რომ ქვეყანაში ამაღლდეს შემოქმედებითი საქმიანობის როლი, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება გამახვილდეს იმ ადამიანთა განსაკუთრებულ კატეგორიაზე, რომლებსაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ეროვნულ კეთილდღეობასა და სახელმწიფოთა განვითარებაში.

ამ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაეროს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა კამილ ოდრისიმ განაცხადა, რომ ეს დღე ყველა ეროვნების ხალხს აძლევს საშუალებას, დაფიქრდეს შემოქმედებითი და საინოვაციო საქმიანობის მნიშვნელობაზე.

ამ დღის წლევანდელი თემა — „შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ — საფუძვლად უდევს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხედვას — ყველა ერს შეუძლია, მიაღწოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, თუკი, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გამოყენების საფუძველზე, ადამიანის სამსახურში ჩააყენებს შემოქმედებით და საინოვაციო პოტენციალს.

ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა ხელს უწყობს ბიზნესის, ტექნიკისა და მეცნიერების წინსვლას. ამ უშრეტი რესურსის აღიარება და განვითარება, აგრეთვე მისი, როგორც ეკონომიკური რეზერვის, გამოყენება, ამჟამინდელი მსოფლიოს კეთილდღეობის მიღწევის გასაღებია. ისმოს-ს მიზანი კი ყველა სახელმწიფოსთან თანამშრომლობაა.

ყველა ერს შეუძლია შექმნას ეკონომიკური გარემო და კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საქმიანობის წახალისებას, აცხადებს კამილ ოდრისი.

**ლელა დონაძე.**

ეპისტოლე

## პატივმოყვარეობისა და თავმოყვარეობის თაობაზე

დაჩი, სამწუხარო მარტო ის კი არაა, რომ პატივმოყვარეები ბევრი გვყავს და ცოტა – აგერ-ეგერ – თავმოყვარეები. სავალალოა, რომ ამ, ერთმანეთთან ცა და მიწასავით დაშორიშორებულ, მცნებებს ხშირად ერთმანეთისგან ვერ ვანსხვავებთ.



ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის

სად ღირსეული, თავის თავის ფასი რომ იცის, თავმოყვარე და სად პატივმოყვარეს მოგონილი პატივი, მიტმასნილი ღირსება, მხილველთა თვალში ნაცრის შეყრა და თვითკმაყოფილება. თუ წყალზე მოტივტივე ნაფოტივით გაუმართლა, რაღაც ადგილი და მდგომარეობა მოიხელკეთილა, რაც არ დაუმსახურებია და ეპოტინებოდა, რის მისაწვდენად, იცის, არც სიგრძე აქვს და არც სიმაღლე, მაგრამ იშნობს. სხვის სკამზე ზის და თავს ღირსეულზე უკეთესად გრძნობს. რაკი ვერ წვდებოდა, მიდგა-მოდგა, გაძვრა-გამოძვრა და როცა იმისთვის გაჩენილი არ იყო, არც მოწოდება ჰქონდა, არც ძალა და ღონე, არც ნიჭი და უნარი, მაგრამ პატივმოყვარეა და ნდომობს. ტყავში ძვრება, რაკი სიმართლით, ღირსებით, დამსახურებით ვერ მიაღწევს ხრიკებით, თაღლითობით, გაიძვერობით, მლიქვნელობით, მოსყიდვით, მოტყუებით, ყოველნაირი უმსგავსოებით იბრალებს – ემსგავსება იმას, რისი მსგავსიც არაა.

თავმოყვარემ საქმე იცის... (თავდავიწყებაც გვაქვს ჩვენ სიტყვა და თავდადებაც) ცოდნა და ერთგულება მოსდევს, თავი აქვს და უყვარს. თავმოყვარეა. არა, არაფერს უმატებს, არ აზვიადებს, არ ბაქიბუქობს და არ იჭაჭება, მაგრამ თავი ღირსეულად უჭირავს. იცის იმის ფასი, რაც გააჩნია, რისი პატრონიცაა და, კაცმა რომ თქვას, უნდა შენც იცოდე. მით უმეტეს, თუ ხეირიანად არ იცნობ და არ იცი, მოითხოვს კიდეც დაინახო, გამოარჩიო და ის პატივი მიაგო, რასაც იმსახურებს. ასე რომ, ვინმემ ზერელედ, ჰაიჰარად, თავაგდებულად ახედდახედოს და ჩაუაროს, შეგაჩერებს, მოგახედებს: თქვენ თქვენი თავის მეტი არავინ გინდათ იცოდეთ და მე თავი მაქვს, საქმე მომდევს და თქვენი გვერდასაქცევი და, მით უმეტეს, ხელწამოსაკრავი არ გახლავართო. რა თქმა უნდა, ამას ღირსეულად მოითხოვს, თავმოყვარეა და მოითხოვს.

– ცოტა, თუ უკაცრავად არ ვიყო... – შენ დაჩი ხარ და თავს ვერ გადაახტები, არ იკითხო, – ოდნავ ხმამაღლა ხომ არ გამოუდით.

– არა, ხმამაღლა არა, მაგრამ პირში არც წყალს იგუბებს.

– მაგრამ...

– „მაგრამ“ არსებობს და ხომ ვერ უგულველვჰყოფთ...

– მაგრამ... ხომ ხმადაბლაც არა?

– არა, კაცმა რომ თქვას, ვერც გაამტყუნებ და გააწბილებ. ისე, თუ მთლად მართალი გინდა, ცოტა თავმდაბალი გვერჩია და იქნებ მოკრძალებულიც, მაგრამ იმ უამრავ პატივმოყვარეების გვერდით, რაღაც შენთვის, გუნებაში თუ უსაყვედურებ, თორემ გასაგონად ვერც ქე დაამუნათებ. ეგერ, იმ პატივმოყვარეს არანაირი ღირსება არ გააჩნია, ქვეყანას თავზე უპირებს დაჯდომას (ზოგი აზის კიდეც!) და ამ თავმოყვარეს თავი მაინცა აქვს და, ამდენად, ღირსეულად რომ ეჭიროს, უფლებაც.

პატივმოყვარეს რომ უთხრა, უთაური ხარ, უღირსი, უგვანიო! სიცილით გადმოგძახებს: თავი რომ არ მქონდეს და ძალი არ შემწევდეს, შემომხედე, სად ვზივარ, რისი მქონებელი და პატრონი ვარო. და აინუნშიც არ ჩააგდებს. თავმოყვარე კი, უთაურობა და უგუნურობა რომ დასწამო, არ გაპატიებს, თვითონ არა გაქვს თავი, თვალი და ყური, ჩემს ღირსებებს ვერ ხედავ და ჩემი თავმოყვარეობის შელახვის უფლებას არ მოგცემო. არადა, ამ მხრივ მართლა დასაფასებელია, რასაც ვერ ასწევს, იმისთანას თავზე არ იღებს, რისი თავიც არა აქვს, არც იკისრებს, თავის თავმოყვარეობას თვითონვე არ აკადრებს.

ახლა ჩვენ თავგანწირვაზე, თავგადაკვლაზე, „მხოლოდ საქმემ ილაპარაკოს“-ო და თავის მიწამდე დახრაზე, კრძალვაზე და მღვდელს რომ ჭილოფშიც იცნობენ, ამეებზე ვიზრუნოთ, ან „ვისაც ვინ უყვარს ჯურღმულშიც მოძებნის უეჭველადა“.

ამჯერად პატივმოყვარეობასა და თავმოყვარეობაზე გვქონდა საუბარი. ვინდომეთ, ვეცადეთ გაგვემიჯნა და თავისი სახელი დაგვერქმია, გვეთქვა, დაგვეწერა, წაგვეკითხა და თავთავისი ადგილი მიგვეჩინა, თორემ წყალი ისეა არეული, ეს უკან-უკან მხოხავი კიბოები კუს ბაკანში მიძვრებიან და პატრონს – კუს გარეთ აგდებენ. ეს მდინარის ფსკერზე მხოხავი, შავი ღორჯოები – დიდი პირი გვაქვსო და ღლავობას და ვეშაპობას იპატივმოყვარეობენ.

თავმოყვარეს რას ერჩი, თავი აქვს და... ესაა, რომ უყვარს.

რა გაეწყობა, აქვს და უფლებამოსილია უყვარდეს. თავმოყვარე თავმოყვარეა.

ბრძენი და ბრძენთა ბრძენი სხვაა...

რა ჩავიცვათ?

# აქსესუარი — ელეგანტურობის უმთავრესი შტრიხი

**აქსესუარს მოდის სამყაროში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. მის გარეშე ნებისმიერმა მოდურმა და ძვირადღირებულმა ფირმის ტანსაცმელმაც კი შეიძლება ხიბლი და დახვეწილობა დაკარგოს. ხშირად, თურმე, მისი საშუალებით ადამიანის ხასიათი, გემოვნება, განწყობილება და წარმოიდგინეთ, ფინანსური შესაძლებლობაც კი შეიძლება ამოიცნოთ.**

შარშანდელისგან განსხვავებით, ფეხსაცმლის დიზაინს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. ზაფხულში კვლავ აქტუალურია „ერთთითანი“, მაღალქუსლიანი და ფერადი ფეხსაცმელი. ტერფის მაქსიმალური სიშიშვლის გამოსაკვეთად, დიზაინერები ხაზების სიმცირეს მიმართავენ. როგორც ყოველთვის, მოდის ცვალებადობას არ ემორჩილება კლასიკური, წვრილქუსლიანი, ელეგანტური ფეხსაცმელი, რომელიც, ამჯერად, ჯინსთანაც შეიძლება მოვიხმაროთ. უკანასკნელი მოდის გამოძახილია სხვადასხვა ფერადი ქვით და პატარ-პატარა ყვავილებით მორთული ქალის ფეხსაცმელი, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ნაზი და ნატიფი ტერფისთვის არის გათვალისწინებული. წამყვანი მოდელიერების კოლექციებში თითქმის აღარ გვხვდება ლითონის ბალთები და შესაკრავები.



როგორც დიზაინერები აცხადებენ, ქალის ჩანთა ოცნების, სტილის, ხასიათისა და ა. შ. განმსაზღვრელი ატრიბუტიცაა... შარშან უპირატესობა ლაურა ბიაჯოტის, პრადას, ზარას სტილის ჩანთებს ენიჭებოდათ, ახლა კი, უფრო მანგოს, კოკაის და კენზოს „გაპრანჭული“ ხელჩანთებია აქტუალური. მათი დიზაინი მრავალფეროვანია, ჭრელი, ფეხსაცმელების მსგავსად მორთული ფერადი, ლამაზი ქვებითა და მოხატული ფიგურებით. მთავარია, ხელჩანთა, უპირველესად, ფეხსაცმელს შეეფერებოდეს.

ქამარი წლევანდელი მოდის ერთერთი განმსაზღვრელი, მნიშვნელოვანი აქსესუარია და მხოლოდ მამაკაცის აუცილებელი ატრიბუტი როდია, იგი ქალის სხეულსაც ლამაზად, მომხიბვლელად და მიმზიდველად წარმოაჩენს. დღეისათვის უპირატესობა ჟან-პოლ გოტიეს განიერ, აპლიკაციებიან, დოლჩე და გაბანას რკინისბალთიან, პრადას ტყავის, გუჩის თეძოებზე მომდგარ, ორიგინალური სტილის ქამრებს ენიჭებათ.

დღეისათვის არანაკლებ მოდურია სხვა, თითქმის უმნიშვნელო, აქსესუარიც: სამაჯური, გულსაბნევი, სათვალე... რომლებიც, ბუნებრივია, ჩაცმულობას უნდა შეეფერებოდეს, რაც თქვენს ელეგანტურობას განსაზღვრავს.

**ლელა დონაძე.**







**სურათებზე: მოდური ფეხსაცმელები, აქსესუარები.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ფოთის საზღვაო ნავსადგური (ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ტელ-ფაქსი: 8 (293) 70148, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის № 23 ფილიალი, ა/ა № 623607, ბ/კ № 220101606), აცხადებს ღია ტენდერს სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო; პასუხისმგებლობის, გემის ძარისა და P&I; ავტომობილების ნებაყოფლობითი და ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო, მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის დაზღვევების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურების სავალდებულო ვადები და ადგილი; ფოთის ნავსადგური (ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ. № 52), 2004 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 ივლისამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (ნავსადგურის კანცელარია) 2004 წლის 10 მაისიდან 2004 წლის 20 მაისის 16 საათამდე. საკონტაქტო ტელ/ფაქსი: 8 (293)70148.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასაკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების რაოდენობა და საერთო ღირებულება.

გ) ტენდერში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, გააჩნიათ თუ არა საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო ფონდისადმი.

ე) დაზღვევის ზემოაღნიშნულ სახეობებზე ლიცენზიები.

ვ) კომპანიის საერთაშორისო აუდიტორული დასკვნა.

5. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ნავსადგურის სატენდერო აპარატი, 2004 წლის 25 მაისიდან 2004 წლის 28 მაისის 16 საათამდე. სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 31 მაისიდან 2004 წლის 4 ივნისის 16 საათამდე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა;

**8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მანანა დანელიასა და ლალი კეშელავასგან შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ნავსადგურის სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ: ფაქსი: 8 (293) 70148.**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

მსოფლიო შტრიხებში

# აი, ვინ არის ყველაზე მდიდარი

**შეიძლება ითქვას, მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანს – კომპიუტერული იმპერიის „მაიკროსოფტის“ დამაარსებელს ბილ გეიტსს „წყალი შეუყენეს“. როგორც სკანდინავიური ჟურნალი „ვეკკანს აფფერერი“ ამტკიცებს, სადღეისოდ ჩვენი პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანი სუპერმარკეტების IKEA მფლობელი, შვედი ინგვარ კამპრადია. როგორც ჟურნალისტებმა „დაითვალეს“, ის 400 მილიარდი შვედური კრონის ანუ 53 მილიარდი დოლარის ქონების მფლობელია. „საწყალი“ გეიტსი კი მასზე „ღარიბია“ 6 მილიარდით. ამას კი მხოლოდ და მხოლოდ იმას აბრალებენ, რომ დოლარი „გაიაფდა“, ხოლო „მაიკროსოფტის“ აქციები კი სწორედ დოლარებით ისაზღვრება.**

როგორც ამბობენ, კამპრადს ძალზე საიმედო კაპიტალი გააჩნია: 180 ავეჯის მაღაზია 30 ქვეყანაში, რასაც სულ მალე 3 სუპერმარკეტი მოსკოვშიც დაემატება.

იმასაც ამბობენ, რომ კამპრადი ძალზე მომჭირნედ ცხოვრობს, ზოგიერთი კოლეგა-მილიარდერივით ფულს ხელგაშლით არ ფანტავს, ფეხბურთს და სხვა მისთანებზე, საქმეებზეც კი ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავების ეკონომ-კლასით დაფრინავს და მოძველებული „ვოლვოთი“ დადის.



სიტყვამ მოიტანა და იმასაც გაგაცნობთ, თუ სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა შორის ვინ არის ყველაზე მდიდარი:

1. მეფე ფარსადი – საუდის არაბეთი – 25 მილიარდი დოლარი;
2. შეიხი ზაიდ ალ ნაჰაიანი – არაბთა გაერთიანებული საამიროები – 20 მილიარდი;
3. სულთანი რასანალ ბოლკიანი – ბრუნეი – 14,3 მილიარდი;
4. შეიხი მუჰამედ ალ მაქთუმი- დუბაი, აგე-10 მილიარდი;
5. მთავარი ჰანს ადამ II – ლიხტენშტაინი – 2,2 მილიარდი;
6. პრემიერ-მინისტრი ტაქსინ ჩინავატი – ტაილანდი – 1,4 მილიარდი;
7. დედოფალი ელისაბედ II – დიდი ბრიტანეთი – 660 მილიონი;
8. დედოფალი ბეატრიქსი – ნიდერლანდები – 260 მილიონი;
9. პრემიერ-მინისტრი პოლ მარტინი – კანადა – 225 მილიონი.

**სურათზე: მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი – ინგვარ კამპრადი**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 94, კვირა, 25 აპრილი, 2004 წელი.

## ორშაბათი
### 26 აპრილი

---

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი **12.00**, **15.00**, **20.00**, **23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**სოლედადი**" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.15** მხ. ფილმი "**ფორსაიტების საგა**" 1-2ს. **16.30** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **17.15** საქართველო, დრო, მოვლენები **17.50** რამპა **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" **19.00** მოკლ. ფილმი "სერენადა" **19.25** "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "**სოლედადი**" **22.15** სატ ფილმი "დაგვიანებული კადიში" **23.30** მხ. ფილმი "**მელოდია სარდაფიდან**"

---

**19.00** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "**ჩემი ამერიკელი ბიჭი**" 11-12ს. **21.00** "ვმესტე" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "**ინდოჩინეთი**"

---

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელილიპუტები" **09.40** სერიალი "**შურისძიება**" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ბუნდეს ლიგა **16.20** სერიალი "**მაშველები**" **17.25** პერეკრესტოკი **18.20** "ტელელილიპუტები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "**შურისძიება**" **22.00** სერიალი "**ჯაშუში**" **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "**იქს-ადამიანები 2**". მთ. რ-ში: პატრიკ სტიუარტი, ფამკე იანსენი.

---

